ვასილ კიკნაძე

# დაკარგული თეატრი



აზრით კი, „მთელს ევროპაში 400 წლის მანძილზე ინკვიზიციამ 20 ათასამდე ე. წ. ერეტიკოსი აწამა, საქართველოში კი 2,5 მილიონმა სამი წლის მანძილზე 268 ათასი კაცი დაკარგა"!

განადგურდა დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და გენოფონდი. მათ შორის დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა თეატრმა.

მაგრამ არ შეიძლება გაქრეს მათი ხსოვნა, რადგან, როცა ადამიანი კარგავს ხსოვნას — ის კვდება.

ასე ემართება ერსაც!..

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილებით და სუკის არქივის გაცნობით, 1955 წელს რკინიგზელების კლუბში გამართულ საჯარო სასამართლოს პროცესებზე დასწრებითა და საქართველოს ისტორიის შესწავლით დავრწმუნდი, რომ ყოველ მოკვდავში სიყვარულზე და სიძულვილზე უფრო ძლიერი ყოფილა შიშის სინდრომი, როცა საქმე სიცოცხლის გადარჩენას ეხება, ამიტომ ჩვენ იმ თაობების მსაჯულებად ვერ გამოვდგებით.





# დაკარგული თეატრი

რეპრესიებმა დიდი პოტენცია შეიწირა, ჩვენ მხოლოდ ოცდასამ მოღვაწეზე მოგითხრობთ. მათ შორის 13 დახვრეტილ იქნა, დანარჩენები ათეულ წლობით ჩამოაშორეს სამშობლოს.

დაიკარგა მათი თეატრი. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა ახმეტელის ახალი თეატრი, არ ვიცით, როგორ ხელოვნებას შექმნიდნენ დაღუპული მსახიობები და რეჟისორები. მათთვის ის თეატრებიც დაიკარგა, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ.

გამოკეტილ ოთახებში გამოპქონდათ ქართული თეატრის განაჩენი:

რეჟისორი **ალექსანდრე ახმეტელი** – დაიხვრიტა 51 წლისა (29. VI. 1937).

რეჟისორი **ვახტანგ აბაშიძე** – დაიხვრიტა 30 წლისა (2. XII. 1937).

მსახიობი **ვანიკო აბაშიძე** – დაიხვრიტა 41 წლისა (21. X. 1937).

კრიტიკოსი, თეატრის მოღვაწე **სერგო ამაღლობელი** – დაიხვრიტა 39 წლისა (8. II. 1938).

რეჟისორი **ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე)** – დაიხვრიტა 41 წლისა (11. IX. 1937).

მსახიობი **პლატონ კორიშელი** – დაიხვრიტა 54 წლისა (29. XI. 1937).

მსახიობი **ელგუჯა ლორთქიფანიძე** – დაიხვრიტა 33 წლისა (29. XI.1937).

დირიჟორი **ევგენი მიქელაძე** – დაიხვრიტა 34 წლისა (14. VI. 1937).

მხატვარი **პეტრე ოცხელი** - დაიხვრიტა 30 წლისა (2. XII. 1937).

თეატრალური მოღვაწე **გიორგი ჟორდანია** – დაიხვრიტა 52 წლისა (2. XII. 19370).

მსახიობი **ხათუნა ჭიჭინაძე** – დაიხვრიტა 35 წლისა (3. III. 1936).

მსახიობი **ია ქანთარია** – დაიხვრიტა 36 წლისა (29. VI. 1937).

მსახიობი **ივანე ლაღიძე** – დაიხვრიტა 36 წლისა (29. VI. 1937).

ციხეებსა და გადასახლებაში გაიგზავნენ:

თეატრმცოდნე **გივი ბარამიძე** – 36 წლისა.
მსახიობი **გრიგოლ კოხტავა** – 30 წლისა.
რეჟისორი **ალექსანდრე მიქელაძე** – 50 წლისა.
რეჟისორი **კუკური პატარიძე** – 41 წლისა.
რეჟისორი **ალექსანდრე მაღლაკელიძე** – 43 წლისა.
მსახიობი **ნინა ლეინიაშვილი** – 38 წლისა.
მსახიობი **ბუჟუჟა შავიშვილი** – 34 წლისა.
მსახიობი **თამარ წულუკიძე** – 34 წლისა.
მსახიობი **მარიამ ხოფერია** – 32 წლისა.
დრამატურგი **კოტა ბუაჩიძე** – 49 წლისა
მსახიობი **ბიძინა წულაძე**

აქ არ წყდება ქართული თეატრის განაჩენი. ზოგ უჩინარ მუშაკსაც შეეხო იგი, მაგრამ სულ სხვა განაჩენი გამოუტანეს შინ დარჩენილ თაობებს: მათ უნდა ეცხოვრათ მუდამ შიშის ქვეშ — დაჭერის მოლოდინში!.. თითქმის ყოველ მათგანზე მზად იყო მასალები, დაჭერის საბაბად რომ გამოდგებოდა.

ქართული თეატრის რეპრესირებული მოღვაწეებიდან თითქმის ყველანი ოდესღაც სხვადასხვა პარტიის წევრები იყვნენ. დამოუკიდებელ საქართველოში ხომ ათობით პარტია მოღვაწეობდა. ჰოდა, საქართველოს ანექსიის შემდეგ, როცა გაბატონდა მხოლოდ ერთი პარტია, ყველა დანარჩენი „ყოფილი" გახდა. „ყოფილებს" ანტისაბჭოური პარტიების სტატუსი მიანიჭა სუკმა და პირადად ლ. ბერიამ.

* * *

ქართველ ხალხს ოდითგან დაჰყვა გაორების სინდრომი. თითქმის ყოველთვის უწევდა ვიღაცის წინაშე ორსახოვანი (ზოგჯერ სამსახოვანი) თამაში. გარეშე ფაქტორებს ემატებოდა შინაგანი და იქმნებოდა უაღრესად რთული მდგომარეობა. დიდხანს გაგრძელდა წარმართული და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების, რელიგიური — რიტუალური სანახაობების, სასულიერო თუ საერო ცხოვრების ურთიერთშერწყმისა თუ შენაცვლების პროცესი. მრავალსაუკუნოვანი





კავშირები გარეშე ქვეყნებთან — მტრული იყო თუ მეგობრული — დიდ გავლენას ახდენდა ქართულ ხასიათზე.. ჩამოყალიბდა ყოველგვარი უცხოურისადმი მიმბაძველობა და თაყვანისცემა, რომელმაც ერთგვარი კულტის ფორმაც კი შეიძინა. აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ჩვენ ხალხს წაბაძულობის კანონი ცხოველებზეც კი აქვს შემჩნეული და თვით მოვლენაც მშვენივრად აქვს დახასიათებული — ცხენი ცხენთან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ადამიანთა და ერთა სულიერი თვისებაც იმგვარია, რომ ყველაფერს ერთმანეთისაგან ითვისებენ". ეს ზოგადადამიანური თვისებები ზოგ ხალხებს ერთობ მოჭარბებული აქვთ, ზოგს კი სუსტად განვითარებული. ჩვენი ემოციური ბუნებისათვის მეტად ახლობელი აღმოჩნდა იგი. შეიქმნა კონტრასტული და პარადოქსალური მდგომარეობა, ერთი მხრივ, პატრიოტული რიტორიკა და, მეორე მხრივ, ყველაფერი უცხოურისადმი მონური დამოკიდებულება. ილია მუდამ გვაფრთხილებდა: „ბრმა თაყვანისცემა რისიმე ან ვისიმე, მონობაზე უფრო საძაგელი მონობააო", მაგრამ ილიას ხმა არავინ შეისმინა.

თანდათან გაბატონდა ორმაგი სტანდარტებით ცხოვრების გარკვეული წესი. ათასწლეულების მანძილზე ხან ერთი ქვეყნის ქედმოვრდომები ვიყავით, ხან მეორესი და უნდა გამოგვენახა მათთან ურთიერთობის ფორმები. თითქოს, ერთმანეთში აირია გულწრფელობაცა და არა გულწრფელობაც, კარიერიზმიც, ჩაშვებაც, პირფერობაც, შურისძიებაც, უცხოურის ორგანული გათავისებაც. ერთი სიტყვით, ყველაფერი იყო, სადაც განსაკუთრებით ძლიერი გახლდათ თამაშის ფენომენი.

თითქოს, უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ გარეშე მტერი ქართველების გაერთიანების სტიმულატორი იყო. როცა გარეშე მტერს ვებრძოდით, შინაგან კონფლიქტებს ნაკლებად დამანგრეველი ძალა ჰქონდა. აქ, თითქოს, არაფერი გასაკვირი არ იყო, მაგრამ როგორც კი ქვეყანა მტრისაგან თავისუფლდებოდა, კონფლიქტები გარედან შიგნით გადმოინაცვლებდა ხოლმე და ისე გამეტებით ებრძოდა ქართველი ქართველს, რომ უცხო მტერთან ბრძოლები მონაგონი იყო.

პარადოქსულ წინააღმდეგობებსა და კონტრასტებში იწრთობოდა ერის ხასიათი, მაგრამ იგივე ფაქტორები ხელს უშლიდნენ ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას.

გასაოცვიფრებელი კონტრასტებია ჩვენი ხალხის სულგრძელობასა და ბოროტებას შორის. რა თქმა უნდა, ყველა ხალხშია კარგიცა და ბოროტიც, ეს ზოგადადამიანური თვისებაა, მაგრამ ყველა ხალხი თავის ეროვნულ ელფერსა სძენს მას. მე არ ვიცი, სადმე თუ არის ანალოგიური ნაწარმოები, როგორიც „ვეფხისა და მოყმის" ბალადაა. ვაჟის დედა სამძიმრის სათქმელად მიდის თავისი შვილის მკვლელ ვეფხის დედასთან, რადგან ვეფხის სიკვდილში ჩემს შვილსაც ექნება ბრალიო. კოსმიური მასშტაბის ჰუმანისტური განცდაა, რომელსაც ღვთაებრივი შუქი ანათებს, ან რა საოცარი სიმაღლე არის ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა, ან მოვუსმინოთ, რას ამბობს ვაჟა ფშაველა ერთ-ერთ ლექსში:

„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადია ცელობა,
ცხვარად მამყოფე, უფალო,
ოღონდაც ამცდეს მგელობა".

განსაკუთრებული სულიერი სიდიადეა ან კიდევ გავიხსენოთ სულ ახლო წარსულიდან სამოქალაქო ომის დროს რუსთაველის პროსპექტზე მომხდარი ფაქტი, როცა გ. აბესაძემ დაინახა, ერთმანეთს ებრძოდნენ ქართველები, სასოწარკვეთილმა იყვირა: „რას სჩადიხართო" და როცა ვერ გამოაფხიზლა პოლიტიკური ფანატიზმით გაბრუებული, ბრბოდ ქცეული ხალხი, მაშინ ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა.
სხვა ფაქტების დამოწმებაც შეიძლება, მაგრამ დაუნდობლობის სინდრომი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, განსაკუთრებით შემაშფოთებელი გახდა ის სწორედ მეოცე საუკუნეში, როცა ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ გაიმარჯვა. მან თანდათან გზა გაუხსნა ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაშლის პროცესს. ილიამ, როგორც ყოველთვის, ამ საქმესაც ზუსტი დიაგნოზი დაუსვა: „ჩვენში ფანატიკოსები არიან. დალოცვილნო, შეიძლება, ორ სხვადასხვა უკიდურეს პარტიას ეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან ლაპარაკი უნდა შეგვეძლ... ჩვენ ყველანი შევადგენთ ერის პარტიას, ერთი აზრით გამსჭვალულს". ილიასათვის ის ერთი პარტია იყო საქართველო და მისი ინტერესების უზენაესობის იდეა, მაგრამ არავინ შეისმინა ბრძენკაცის შეგონება, სულ უფრო და უფრო იმძლავრა შურმა და მტრობამ. ამიტომ ილიამ ულრმესი გულისტკივილით თქვა: „პირველი ქვა, რომელიც ქართველს მოხვდება, ქართველისაგან იქნება ნასროლი".





ქართველი ერის ტრანსფორმაციის, შინაგანი წინააღმდეგობების გამძაფრების, ურთიერთშეპირისპირების დამანგრეველი პროცესი მუდამ იწვევდა გონიერი ქართველების შეშფოთებას. კ. აბაშიძე წერდა: „ქართველი ერი კარგა ხანია, თავის უარყოფისა და თავის მკვლელობის გზაზე დგას და საოცარი დაჟინებით გაურბის ყოველივეს, რაც მას სიცოცხლესა და სიხარულს მიანიჭებს, უცნაურის სისასტიკით სპობს ყველაფერს, რაც მისი სიცოცხლის წყაროს შეადგენს". ცნობილი კრიტიკოსისა და მკვლევრის ეს შემაშფოთებელი სიტყვა მან მეოცე საუკუნის დასაწყისში თქვა. მას იგი შემთხვევით არ უთქვამს. ერის თვითგანადგურების მახასიათებელმა ნიშნებმა თანდათან იმძლავრა და „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი", — თქვა გალაკტიონმა. მანვე თქვა სულისშემძვრელი სტრიქონები:

„რაა უფრო გულდამწყვეტი,
მეტეხო და დილმის ველო,
დადიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო".

მაგრამ სხვა საქართველო სად არის? — იქნებ, ჩვენს რომანტიკულ ოცნებებშია? იქნებ, ემიგრანტთა ნოსტალგიაშია? იქნებ დიონისებურ დროსტარებაში, სექსუალურ სიმთვრალესა და თავაწყვეტილ ბაკქანალიურ გართობასა და მოჩვენებით ზეიმურობაში, რომელიც მუდამ ცხოვრების ზედაპირზე ტივტივებს? რადგან ქართველს „დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს", იქნებ, მისთვის სულ ერთია რა იქნება ხვალ? ამ ლხინის ექსტაზით შეპყრობილი ხელს ჩაიქნევს და იტყვის: „რაც იქნება, იქნებაო"!, — ამბობდა ახმეტელი. ზედაპირული, მისტერიული რიტუალებისა და უდარდელობის მიღმა ახმეტელი დიონისურისა და აპოლონური საწყისების ერთმანეთისაგან გათიშვით ხსნიდა. იგივე მიზეზი მიაჩნია ჩვენი ხალხის სულში ჩასახლებული გაორების სინდრომის საფუძვლად, ერის შინაგანი გახლეჩისა და დაპირისპირებისათვის საბაბი ყოველთვის ბევრი იყო, რომლის ახსნა შეიძლებოდა, მაგრამ გამართლება კი — არა. ცნობილ მეცნიერ რ. ბარამიძეს ზუსტად აქვს შენიშნული შაჰ აბასის შემოსევის მოტივაციისა და მისი შედეგების ერთ-ერთი საინტერესო ფაქტორი: „როდესაც შაჰ აბასი საქართველოსაკენ დაიძრა, თეიმურაზ მეფე დიდი ძღვენითა და საჩუქრებით დახვდა სპარსელ ტირანს. იგი კმაყოფილი დარჩა და უკან გაბრუნება გადაწყვიტა, „მაგრამ ვინც

ქართველნი და კაცნი ყვენს ახლდნენ, დაუწყეს ხვეწნა, რომ ჩვენი შვილნი და თავები მრძევლად მოგვისყამსო" და დაბეჯითებით „სთხოვდნენ შაჰ აბასს უკან არ გაბრუნებულიყო". ცხადია, ნაძირალა ქართველი გამყიდველებისაგან შაჰის საქართველოში მოწვევას არავითარი გამართლება არა აქვს, მაგრამ მოვლენას ახსნა უნდა. ამ რენეგატი ქართველების მორალზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ საუბარია შურისძიების შიშზე. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივი რეპრესიების დროსაც.

როცა კომუნისტური ეპოქის რეპრესიებზე ვლაპარაკობთ, ზოგად პოლიტიკური გადაწყვეტილებების, სასამართლოს როლის სრული იგნორირებისა და ტოტალური პოლიტიზაციის პროცესში საქართველოში თავი იჩინა შურისძიების ეროვნულმა ფენომენმაც. სტალინი ფანატიკოსი დიქტატორი იყო და თავისი პირადი ანგარიშებიც ჰქონდა საქართველოში. სტალინიცა და ორჯონიკიძეც პირდაპირ გახელებით ებრძოდნენ ყოველგვარ ქართულს, ხოლო ბერიამ ადვილად აუღო ალღო სტალინის პანიკურ შიშს, რათა რუსებს ქართველობა არ დაებრალებინათ და ამიტომ მას პერმანენტულად უნდა ებრძოლა ქართული ეროვნულობის წინააღმდეგ. თითქოს, განმეორდა შაჰ აბასის ისტორია.

რუსეთში მოღვაწე ქართველებს ემიგრანტების სტატუსი არ მოშორდებოდათ, თუ საქართველო რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნებოდა (1918-21 წწ.). სწორედ სტალინისა და ორჯონიკიძის მეთაურობით დაემხო დამოუკიდებელი საქართველო.

ტრაგიკომიკური გაორებისა და პარადოქსული სიტუაციების წარმოქმნის მიზეზებს მრავალი ასპექტი აქვს. მათ შორის ერთ-ერთი რელიგიური ფაქტორიც არის. მეოცე საუკუნის კომუნისტურმა ათეისტურმა სისტემამ ღრმა კვალი დააჩნია ქართულ ხასიათს, ხელი შეუწყო გაორების სინდრომის მონური ფორმების წარმოქმნასა და დამკვიდრებას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მემედ აბაშიძის ცხოვრება. ჩვენი ხალხის შინაგანი წინააღმდეგობრიობის დაძლევისათვის ბრძოლაში. მაჰმადიანური აჭარა უნდა დაბრუნებოდა თავის რწმენის სათავეებს — ქრისტიანობას. მემედი ჭკვიანი, განათლებული და ნამდვილად დიდი პატრიოტი იყო და კარგად იცოდა, რომ ადამიანის რწმენაზე ძალადობის ყოველგვარ შემთხვევას

უკუშედეგი მოჰყვებოდა. ამიტომ ის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა უაღრესად სათუთ საქმეს. მემედი ხაზგასმით ეუბნებოდა





თანამემამულეებს: „ჩვენ, ქართველები ვართ, ჩვენს ძარღვებში საქართველოს სისხლი ჩქეფს, ჩვენი ზნე-ჩვეულებაც ქართულია და ჩვენი ეროვნული თვითშეგნებაც ერთია. მასთან ერთად გვსურს გარდაქმნა ერთ ერთეულად, ერთ სულად და ერთ სხეულად, რათა აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული მთლიანობა".

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ილიას საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე მემედმა ილიას სადღეგრძელოს დროს ყანწი წყლით აავსო და ისე დალია: წყალს ერთნაირად სვამს ქრისტიანიც და მაჰმადიანიც, ღვინოს კი არაო. ამით მემედმა ხაზი გაუსვა მაჰმადიანი და ქართველი ქრისტიანების ერთიანობის უნივერსალურ იდეას. ილიას თურმე იმდენად მოეწონა მემედის სიტყვა, იმდენად ახლობელი იყო მისთვის ეს იდეა, რომ მემედს შუბლზე აკოცა და მადლობა გადაუხადა. მემედი ილიას გზის კაცი იყო. ბოლშევიკებმა არ აპატიეს მემედს მისი ხაზგასმული პატრიოტიზმი და 1937 წელს დახვრიტეს. ბათუმის თეატრის დიდი ისტორია, რომელიც ილიას სახელს ატარებს, ვერც კი წარმოიდგინება მემედის მზრუნველობის გარეშე. მან ს. ახმეტელს სთხოვა რუსთაველის თეატრის სტუდიაში „აჭარის ჯგუფის" მომზადება. ახმეტელმა და მემედმა მსახიობთა შესანიშნავი კადრები შეარჩიეს.

ახმეტელმა და მემედმა ერთი ბედიც გაიზიარეს 1937 წელს.

გავიდა წლები და ვინ იფიქრებდა, რომ აგერ ოცდამეერთე საუკუნეში ბათუმში შემზარავი ფაქტი მოხდებოდა, ჯერ ცეცხლს წაუკიდებდნენ მემედის ძეგლს და შემდეგ ძეგლს აიღებდნენ და სხვა ადგილას, მოფარებულში, გადაიტანდნენ. ყოველი ნამდვილი ქართველისათვის შეურაცხმყოფელი ამ აქციის შემდეგ რაღაც გაუგებარი „პრინციპისათვის" ყველაზე გამორჩეულ ადგილას მედეას ძეგლს დადგამდნენ. სამშობლოს საიდუმლოების გაცემისათვის აშშ-ში ცოლ-ქმარი როზენბერგები სიკვდილით დასაჯეს, იმავე საქციელისათვის ჩვენთან ძეგლს უდგამენ!

სამშობლოს ღალატი თავის თავში ატარებს ტრაგიკულ ბედს.

ამ ტრაგიკულ ხვედრს ვერავინ გადაურჩება!..

ვერც მედეა გადაურჩა...

ასეთი ადამიანები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევენ.

დიდია მედეასადმი ინტერესიც, მაგრამ რა შუაშია ძეგლი?!

ესეც ჩვენი ხასიათის შინაგანი გაორების, წინააღმდეგობრიობისა და პარადოქსული ამბიციურობის შედეგია.

ჩვენ დავკარგეთ ზნეობრივი ორიენტირი!..

უცნაურზე უცნაური ეჭვები და კითხვები იბადება. დიდი მეცნიერი კ. კეკელიძე რატომ წერს: „არც ერთ ენაზე არ შექმნილა იმდენი ანტიმაჰმადიანური თეოლოგიური ნაშრომი, რამდენიც ქართულ ენაზე“. რა, სხვა ქრისტიანებს არ ებრძოდნენ მაჰმადიანები? რაშია საქმე? ეს ხომ არ არის ჩვენი რადიკალიზმის გამოძახილი? ამგვარ ფაქტებში ხომ არ ძევს ჩვენი უმეცრებით ისტორიულად დამკვიდრებული სიტყვა „თათარის“, როგორც მტრის ხატის, სიმბოლიზაციის მიზეზი? ან როგორ ვერ დავძლიეთ ინერცია იმისა, რომ ეროვნული და რელიგიური ცნებები იდენტური არ არის. ოდესღაც ქრისტიანობა და ქართველობა ერთ მთლიანობად მოიაზრებოდა და ისტორიულად გასაგები იყო, მაგრამ აქაც ჩვენი ხასიათის რადიკალიზმის გამო მთლიანად ვერ გავიაზრეთ, რა მოგვიტანა უკიდურესობამ ბიზანტიასთან ან რუსეთთან კავშირით. მივიღეთ კი მათგან შესატყვისი უკუგება? იქნებ, სწორედ რუსეთის ეკლესიამ შეასრულა ყველაზე დიდი დამანგრეველი როლი რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციაში? იქნებ, კარგად არ მივუგდეთ ყური გენიალური ბარათაშვილის სიტყვებს, როცა სოლომონ მსაჯულის პირით გააფრთხილა ერეკლე მეორე და მთელი ქართველობა:

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.

სოლომონი პირდაპირ ამბობს, რომ ორი ერის ერთმორწმუნეობა არ იყო საკმარისი მათი ერთიანობისათვის.

ასეც მოხდა...

სადაც კი თავი იჩინა ჩვენმა უკიდურესობებმა და რადიკალიზმმა, ყველგან ათასი უბედურება დაგვატყდა თავს. როცა თურქეთთან საზღვრები გაიხსნა, ხომ ნათელი გახდა, რომ თურმე თურქი, ანუ „თათარი“, არ ყოფილა ისეთი საფრთხობელა, როგორიც საუკუნეობით ჩამოყალიბდა ქართველის ცნობიერებაში?! ჩვენ თვითონ შევქმენით მისი სიმბოლო სწორედ ემოციური დამოკიდებულებით, რომელსაც ხელს უწყობდა ჩვენი თეატრი და მწერლობა.

არაფერში არ ვიცით ზომიერება.

ჩვენ ყოველთვის მივტირით ჩვენს სიმცირეს, მაგრამ დაუნდობლად ვანადგურებთ ერთმანეთს. ჩვენი ემოცია მუდამ წინ უსწრებს გონიერებას, ამიტომ სიტყვა და საქმე ხშირად ერთმანეთისაგან





დაშორებულია. როცა ფერეიდნის ქართველებზე ვლაპარაკობთ, ემოციებს ვერ ვიკავებთ, ცრემლები ყელში გვებჯინება და ეს საესებით გულწრფელი განცდაა, მაგრამ ზოგიერთი ფერეიდნელი რომ დაბრუნდა საქართველოში და მერე ისევ წავიდა ირანში, ვინმემ იკითხა, თუ რა მოხდა? ვინმემ სერიოზულად იფიქრა ამ საკითხზე? იქნებ, იმიტომ წავიდა, რომ „თათარის“ იარლიყი არ მოვაშორეთ და ვერ დავძლიეთ გაუცხოების სინდრომი? განა, არსებითად იმავე პრობლემასთან არა გვაქვს საქმე, ე. წ. „თურქი მესხების“ შემთხვევაშიც? ვინმე შეშფოთებულა იმის გამო, რომ დაბრუნებული და ადაპტირებული ე. წ. „თურქი მესხები“ ხელახლა აეყარეთ და ვაიძულეთ, საქართველოდან წასულიყვნენ. მართლმადიდებელმა ქართველმა ისინი ვერ იგუა, მართლმადიდებელმა რუსეთმა იგუა, ვინ იქცევა უფრო წინდახედულად, ჩვენ თუ რუსეთი? ე. წ. „თურქი მესხების“ ქართული გენი რომ არ იყოს, ეგებ უფრო ადვილადაც მიგვეღო. რელიგიური ექსტრემიზმისა და შეუწყნარებლობის ამ ვანდალურმა ფაქტებმა ჭკუა მაინც ვერ გვასწავლა. ქართველი ქართული გენისადმია უკომპრომისო, თორემ სხვათა მიმართ უაზრობამდე ბედოვლათია, ანუ ტოლერანტი, როგორც ვამბობთ ხოლმე.

ე. წ. „თურქი მესხი“ საფრთხობელასავით იქცა, ლამის „მტრის ხატად“ შეიქმნა. თორემ აგერ ახლა არ იყო, როცა (1897-1902 წწ.) საქართველოში 56 ათასი სომეხი ჩამოსახლდა? თითქოს, არც არავის გაუგია, ისე წყნარად, მშვიდად დასახლდნენ. მკითხველმა თუ იცის, რომ 1924 წლისათვის თბილისში ქართველთა რიცხვი 17%-მდე შემცირდა. სომეხი ლტოლვილების შეფარება ჰუმანური საქმე იყო, მაგრამ მაინცა და მაინც ჩვენმა გენმა ხელახლა უნდა გაიაროს ტანჯვის გზა? ჩვენ არაფერზე არ ვაგებთ პასუხს მორალურად მაინც?

ათასი კითხვა იბადება, ათასი წინააღმდეგობა და პასუხგაუცემელი პრობლემა იჩენს თავს, როცა ქართველთა თვითგანადგურების საშიშროება დგება. ყველაფერი მოითხოვს ღრმა გააზრებას, დაფიქრებას, ანალიზს. როცა ჩვენს წინააღმდეგობრივ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, უპირველესად მასობრივი ტერორის ძირებისაკენ ვიხედებით. რატომ გვარგუნა წილად ბედმა, რომ ისევ ქართველების ხელით მოხდა „კაენის სულის აღზევება“ (ი. აბაშიძე).

მე ვამბობ ჩვენი ხასიათის წინააღმდეგობრივ ბუნებაზე, რელიგიურ ფარისევლობაზე და გონიერების დეფიციტზე. საქართველოში ამდენი ეკლესია არასოდეს აშენებულა, ამდენი სანთელი არ დანთებულა,

არც ამდენი მლოცველი არასოდეს ყოფილა ეკლესიებში, მაგრამ ამდენი უზნეობა და უწესობაც ხომ არასოდეს ყოფილა? რატომ არ ახდენს ცხოვრებაში პრაქტიკულ რეალიზებას ჩვენი რწმენა, თუ იგი ფარისევლური არ არის? ცხადია, საუბარია გარკვეულ ტენდენციებზე, ხალხის ნაწილზე, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს საერთო ფონის შექმნაში.

როგორც ჩანს, რიტუალურობა და სანახაობრიობა, სხვისთვის ჩვენების სურვილი უფრო გვიტაცებს, ვიდრე ათი მცნების ცხოვრებაში შესრულება, რადგან პირველი გვართობს და ჩვენგან არაფერს მოითხოვს, მეორე კი დიდ შრომასა და თავშეკავებას მოითხოვს. განა, იგივე არ მოხდა 9 აპრილის ტრაგიკულ დღეებში? გაიხსენეთ საშინელი ღამე, როცა შიმშილისაგან ღონემიხდილ ასობით დემონსტრანტს და ღამის მიტინგების ეგზალტირებულ მონაწილეებს საქართველოს სულიერმა მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა, ბრძენმა კაცმა ილია მეორემ მოსალოდნელი უბედურებიდან თავის გადასარჩენად მოშიმშილეებს ეკლესიაში წასვლა და ლოცვისაკენ მოუხმო. ეს იყო გონიერების ხმა, ქრისტიანული მოწოდება, მაგრამ ჩვენმა ქრისტიანობისათვის საუკუნეობით თავშეწირულმა ხალხმა იგი არ შეისმინა, ხოლო ერთ-ერთი პარტიის ლიდერის მოწოდებას, რომ ეკლესიაში არ წასულიყვნენ — დაუჯერა.

რა მოხდებოდა სულიერი მამის მოწოდების ხმა რომ შეესმინათ? მსხვერპლი არ იქნებოდა და არც 9 აპრილის ტრაგედია იქნებოდა. ქართველი თავად ეძებს ტრაგიკულ კოლიზიებს, მას იგი თითქოს სჭირდება კიდეც თავისი ტრაგიკული ისტორიის შესავსებად, გმირული შარავანდედის მოსაპოვებლად. მაგრამ განა ეს ფაქტი გონიერების დეფიციტზე არ მეტყველებს? თითქოს, რაღაც მიზიდულობის ძალით მიესწრაფით თვითგანადგურებისაკენ. ჩვენ არასოდეს რეალურად არ ვაფასებთ მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს. ჩვენი მტერი თითქოს ყოველთვის იდიოტია, რათა ადვილად მოვერიოთ მას და მერე პომპეზურად ვიზეიმოთ გამარჯვება. გავიხსენოთ ჩვენი გენიალური ზღაპარი „ნაცარქექია". ნაცარქექია ტახტზე თათქარიძესავით უსაქმურად კოტრიალობს, სანამ ძალით არ გააგდებენ საშოვარზე. თითქოს გონებამახვილობით, ჭკუით ამარცხებს ბაყბაყდევებს და დიდ სიმდიდრეს შოულობს, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ნაცარქექიამ სიმდიდრე მოიპოვა იმიტომ, რომ ბაყბაყდევები ცალტვინები იყვნენ. დევები ჭკვიანები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ





ხომ ჩვენი გმირისაგან აღარაფერი არ დარჩებოდა? ჩვენ არ გვინდა მოწინააღმდეგე ჭკვიანი იყოს. ჩვენ სწორედ ისეთი ზღაპრები გვინდა, სადაც ქართველი კაცი გაიმარჯვებს. დაახლოებით იმავე ფენომენთან გვაქვს საქმე დ. ერისთავის „სამშობლოს" შემთხვევაშიც. ერთ-ერთ სცენაში შაჰი ხმალს აძლევს ლევან ხიმშიაშვილს, რათა მას ემსახუროს, მაგრამ ხიმშიაშვილი ხმალს უკან უბრუნებს და თან ომახიანად ეტყვის: მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ და მტერს არ ვემსახურებითო. ამ სიტყვაზე სპექტაკლის დროს ლევანის როლის შემსრულებელს მთელი დარბაზი ოვაციას უმართავდა. ეს იყო სრულიად არაბუნებრივი და ყალბი სცენა, მაგრამ „პატრიოტული", მტრის ჯინაზე გაკეთებული ამაყი ჟესტი. ჩვენ გვიყვარს „მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ" გაცინება მაშინაც კი, „ცხრა ლახვარი რომ დაგვარტყან, ცხრაჯერ გულში".

მაყურებლისათვის მთავარი იყო ემოციური აფექტი და ის, რომ ძლიერ მტერს ფეხთან დაუდო ხმალი, ხალხი ისე აღელვებული და აღფრთოვანებული იყო, თითქოს იმ წუთს დიდგორის ომი მოიგეს. აი, ეს ფენომენი მოქმედებდა იმ დროსაც, როდესაც 9 აპრილს მტრის ტანკს წინ დაუდგა ქართველი ბიჭი და ჯოხს ურტყამდა. ყველა შემთხვევა ერთ მთლიან ეთნოგენურ ფუნდამენტზეა დაფუძნებული. თავისი არსით იგი ტრაგიკომიკური მოვლენაა და ანალიტიკური აზროვნების, გონიერების დეფიციტზე მეტყველებს, მაგრამ ამ რომანტიკულმა ილუზიურობამაც ხომ თავისი დადებითი როლიც შეასრულა? მიუხედავად ამისა, დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ხშირად მიუთითებდა ქართველი მეფეების გულუბრყვილობასა და პოლიტიკურ რომანტიზმზე. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი შეცვლილა მას შემდეგ...

საუკუნეთა მანძილზე მონობის გამო, თითქოს, შევეგუეთ, შევეჩვიეთ ჩვენს მდგომარეობას და ბუნებრივადაც გვეჩვენება მონობაში ყოფნა და თავისუფლებისათვის ბრძოლა, როცა რომანტიკულად ვოცნებობდით თავისუფლებაზე, მაშინ ვერთიანდებოდით ქართველები და ათასი ფორმით ვებრძოდით გარეშე მტერს. თავისუფლების მიღწევის შემდეგ კი თითქოს ვკარგავდით ერთიანობის აუცილებლობის გრძნობას და კონფლიქტი გარედან შიგნით გადმოგვქონდა.

კლასთა ბრძოლის იდეოლოგია განსაკუთრებით გაიშალა და გაიფურჩქნა საბჭოთა პერიოდში, რომელიც კარგად მოერგო ქართულ რადიკალიზმს.

ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცლებია მე-19 საუკუნის 30-იანი წლები, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულება. ეს იყო ქართველ ინტელექტუალთა პირველი გაბედული ანტიცარისტული გამოსვლა. წინააღმდეგობის ეს გენი შემდეგ ურთულეს ეპოქებში ათასგვარი ფორმით გამოვლინდა და არაერთმა სხვადასხვა მოაზროვნემ გამოიჩინა თავი.

როდესაც ქართული ხასიათის წინააღმდეგობრივი ბუნების ახსნას ვცდილობ, მის გენეზისზე მივანიშნებ, ისევ და ისევ ჩვენი რადიკალიზმის კომპლექსი იჩენს თავს. ჩვენში პირდაპირ შესაბრალისია ნამდვილი ინტელიგენტის, ლიბერალის, ზომიერი ადამიანის ბედი. მას ათასგვარი ეპითეტებით ვამკობთ ხოლმე. რადიკალიზმი ჩვენი მოურჩენელი ავადმყოფობა და ფართო სპექტრის მოვლენაა. სხვადასხვა დროში სხვადასხვა სახეს იძენს, უცნაურ მუტაციას განიცდის, მსხვერპლი კი მუდამ დიდია, არაფერში არ ვიცით ზომიერება, ჩვენს სიძულვილსაც და აღფრთოვანებასაც საზღვარი არა აქვს ხოლმე, უცებ ავღელდებით, ემოციის ტალღა წალეკავს ყველაფერს, მერე ისე დავმშვიდდებით, თითქოს არც არაფერი მომხდარა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში თხუთმეტი რესპუბლიკიდან ერთადერთი ჩვენ აღმოვჩნდით, რომლებმაც მთელი ენერგია ნგრევას შევალიეთ, სამოქალაქო ომი კი მისი აპოთეოზი იყო. მიუხედავად ამისა, ქართული მენტალიტეტის მიხედვით, არასოდეს არაფერში არა ვართ დამნაშავენი! ყოველთვის ხომ ვიღაც სხვა არის დამნაშავე. ეს „ვიღაც" კი გარეშე მტერია. ეს არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია, ამიტომ არ ხდება სულიერი განწმენდა. სწორედ ამის გამოა, რომ ერთი და იგივე შეცდომები მეორდება. ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს ანალოგიური მოვლენები. საქმე თეითგვემაში არ არის. ათასი კარგი მაგალითის დასახელება და საპირისპიროს მტკიცებაც შეიძლება, მაგრამ სწორედ საპირისპირო მაგალითები უფრო გვხიბლავს, რადგან თავის მართლებაში გვეხმარება, დანაშაულის კომპლექსიდან გვათავისუფლებს, ამიტომ თამამად ვამბობთ, რომ ჩვენი რა ბრალია, თუ:

არ ვიცით პირველი პოეტის — რუსთაველის — საფლავი!

არ ვიცით პირველი ქალი მეფის — თამარის — საფლავი!

არ ვიცით პირველი მხატვრის — ფიროსმანის — საფლავი!

არ ვიცით გენიალური მთარგმნელის — ივანე მაჩაბელის — საფლავი!

არ ვიცით დიდი ქართველი მსახიობის — მაკო საფაროვა — აბაშიძის — საფლავი!





თუ მოვკალით ილია,

თუ თავი მოიკლა გალაკტიონმა...

ეგ რა მაგალითებიაო, სხვა ქვეყნებშიც ხდება ამგვარი რამეო და დამშვიდებული სინდისით გავაგრძელებთ ცხოვრებას.

ილიამ სარკეში ჩაახედა თავისი ხალხი და რადიკალური დაპირისპირების ნაცვლად „ჩატეხილი ხიდის" გამთლიანებისა „საერთო ნიადაგის" კონცეფცია შესთავაზა.

ხალხმა რომ სარკეში დაინახა თავისი თავი, არ მოეწონა და ნაკლის გამოსწორების ნაცვლად ილია მოკლა.

საქართველო არ წავიდა ილიას ნაჩვენები გზით, რადგან რადიკალიზმის ქვეყნისათვის მიუღებელი იყო ლიბერალ-დემოკრატიული იდეები.

ილია მართალი იყო და წმინდანად შერაცხეს. მისი ეროვნული ერთიანობის იდეა კი პრაქტიკულად განუხორციელებელი აღმოჩნდა. ქვეყანა მოიცვა პარტიული დაპირისპირებისა და კლასთა ბრძოლის იდეოლოგიამ.

მას აქეთ, ჩვენი ქვეყნის ტრაგედიად იქცა პარტიული აზროვნების გაბატონება ეროვნულ ცნობიერებაზე. ასეთ დროს ეროვნული ერთიანობა შეუძლებელია!..

ძვალსა და რბილში გამჯდარი რადიკალიზმის ავბედითი მაგალითებით სავსეა წარსულიცა და დღევანდელი დღეც.

ყველაფერი, რაზედაც ზემოთ ალვნიშნე, იმის თავისებური ისტორიული და ფსიქოლოგიური ფონია, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოხდა. ამ ფონის ნაწილი იყო ისიც, რომელიც მასზე ერთი საუკუნის წინ მოხდა, როცა ინტელექტუალთა შეთქმულება დამარცხდა ისევ ქართველი კაცის გამცემლობის შედეგად. ჩვენ ვლაპარაკობთ 1832 წლის შეთქმულებაზე, პარალელებზე, რომელიც 1937 წელს მოხდა. მათ შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ორივე რუსეთის იმპერიული მმართველობისა და მასში ქართველთა მონაწილეობის დამადასტურებელი ტრაგიკული მოვლენებია, თუმცა სხვადასხვა მასშტაბისა.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეები დიდი პატრიოტები იყვნენ, თეატრთანაც იყვნენ დაკავშირებულნი. შემთხვევითი არ არის, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ გ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი და სხვა ინტელექტუალები. ისინი ზოგჯერ, თითქოს, რეპეტიციის ჩასატარებლად იკრიბებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში შეთქმულების საკითხებზე მსჯელობდნენ.

დ. ყიფიანი თავის მოგონებებში ცდილობს ახსნას, თუ რატომ მოეწყო შეთქმულება. მიზეზი კი არაერთი იყო. დ. ყიფიანის მოგონებები მოხუცებულობის დროს (70 წლისა) არის დაწერილი, მაშინ უკვე წარმატებულად ნამსახურები გახლდათ რუსეთის მმართველობაში და მიტომ მოგონებებში შეთქმულების ამბებიც შერბილებული ტონით არის გადმოცემული. წამების მეთოდების შესახებ წერს: „შემოილეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირებით შეტევა. ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ ცარიელ ხმელ პურზე ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც".

დ. ყიფიანს წამებად მიაჩნდა ამგვარი მოპყრობა. რა იცოდა, რომ ისეთი დროც დადგებოდა, როცა ასეთი ციხეები და წამების ასეთი მეთოდები სანატრელი გახდებოდა.

მიუხედავად გამოძიების ლიბერალური მეთოდებისა (საბჭოურთან შედარებით), მიუხედავად დ. ყიფიანის დიდი პატრიოტული გრძნობებისა და ცნობილი ხიმამაცისა, გამომძიებლის ერთ-ერთ კითხვაზე, თუ როგორ აღმოჩნდა იგი შეთქმულთა შორის, ასე პასუხობს: „განზრახულებასა და შეთქმულებაზე პირველად გიორგი დავითის ძე ერისთავისაგან გაეიგონე და იმან შემიყვანა ამ საქმეში სწორედ, თუმცა ჩემი ამხანაგი და მასწავლებელი ავთანდილოვი დამნაშავეა, რომელმაც ალექსანდრე და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანოვები გამაცნო. ერისთავმა შემდეგი სიტყვები გამომიცხადა: „გამიგონე, მე შენ ერთ საიდუმლოს გეტყვი, მაგრამ ნუ გეშინია, კარგად მომისმინე: ჩვენ შევადგინეთ საზოგადოება, რომელიც აწყობს, ერთი სიტყვით, შეთქმულებას, რომლის მხურვალე მონაწილეც თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ის შენ გიცნობს და დაგვავალა, როგორმე მასთან მიგიყვანოთ, რასაკვირველია, მე რომ არ ვიცოდე, რომ შენ უკვე ისეთ ასაკში ხარ, რომ შეგწევს შეგნება იგრძნო, თუ რას ნიშნავს სამშობლოსადმი სიყვარული და რომ შენში იგი არსებობს – მე შენ არასოდეს არ გაგიმჟღავნებდი. უნდა როგორმე გავათავისუფლოთ საქართველო უსამართლო მმართველობისაგანო, თუმცა შემდეგ შენ თვითონ დაინახავ ყველაფერს – მშვიდობით. გაცემით ვერ გამცემ, რადგან მარტონი ვართ". ეს მოხდა როგორც მახსოვს 1831 წლის დამდეგს ან 1832 წლის დამდეგს, შუაღამის ჟამს გარეთუბანში, ექიმი პრიბილი რომ სახლს აშენებს, იმის გვერდით. ცისა და ქვეყნის მოწმედ არავინ ყოფილა".

დ. ყიფიანი მაშინ 22 წლისა იყო.





როგორც ხედავთ, დ. ყიფიანმა არამცთუ უარყო თავისი მონაწილეობა შეთქმულებაში, არამედ თანამზრახველებიც დაასახელა, მაგრამ დასკვნისათვის ნუ ავჩქარდებით, ისტორიის ამ გადასახედიდან ადვილია კრიტიკა, მაგრამ ყველაფერი უნდა გავიაზროთ მხოლოდ კონკრეტული, მოცემული სოციალ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პირობების მიხედვით.

1832 წლის შეთქმულებას საბჭოთა ისტორიოგრაფია ან დუმილით უვლიდა გვერდს ან შეთქმულების მონაწილეებს ორ ნაწილად ყოფდა: პროგრესულ და რეაქციულ ნაწილებად. პირველ ჯგუფში მოიაზრებოდნენ რესპუბლიკური სახელმწიფოს (მაგ., ს. დოდაშვილი) ორიენტაციის მომხრენი, ხოლო მეორე ჯგუფში – მონარქისტულნი (მაგ., ა. ორბელიანი). დღეს მიუღებლად მიგვაჩნია ასეთი კლასიფიკაცია, რადგან მთავარი იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, რუსეთის უღლის გადაგდება. ე. ორბელიანი ამბობს: „1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: „როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, მან მითხრა: დიახ, ბატონო, ქართველები ეცადეთ საქართველოს გათავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს გათავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარი სახელმწიფო".

ამ გაბედული დემოკრატიული იდეით გაოცებულ ალ. ორბელიანს თავის ჩვენებაში განუცხადებია: „უფლის სოლომონ დოდაევის საქმენი გამაკვირვებდნენ ესრეთ, რომ დოდაევი იყო გლეხი კაცი ახლა მთავრობის მიერ აყვავებულ იქნა და ამ ბოროტს განზრახვასა ზედა ვითარ ფიცხლად იქნებოდა, რომლებიც განმაშტერებდნენ მისნი ესრეთნი საქმენი".

შეთქმულთა შორის ალ. ორბელიანი ყველაზე ანტირუსულ პოზიციაზე იდგა, მაგრამ გამოძიების დროს სულ სხვას ამბობს. ს. დოდაშვილს დახვრეტა მიუსაჯეს, შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს, ვიტებსკში გადაასახლეს ცოლ-შვილთან ერთად.

შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე არამარტო აღიარებს დანაშაულს, არამედ ერთმანეთსაც აბეზღებს.

უაღრესად საინტერესოა ერთ-ერთი დოკუმენტი ალ. ორბელიანის დაკითხვიდან, რომელიც თავისებურად ასოცირდება ალ. ახმეტელის პატიმრობის ერთ-ერთ შემთხვევასთან, როცა მან ციხეში ახალგაზრდა პოლიტპატიმარ გ. ქელივიძეს უთხრა: თავი მოისულელე, იქნებ გადარჩე. ახმეტელი ახალგაზრდას ეუბნება: ჭკვიანი, მოაზროვნე

ხალხის განადგურების დრო არის და თუ შენ ასე კარგად ილაპარაკებ, როგორც ჩემთან საუბრობ, გაგანადგურებენო. გ. ქვლივიძემ ჩემთან საუბარში მითხრა: მართლაც, ისე მოვიქეცი, როგორც ახმეტელმა მირჩია და ცოცხალი გადავრჩიო.

ალ. ორბელიანის შესახებ 1832 წლის 18 დეკემბრის ოქმში (1.129) ვკითხულობთ: „საგამომძიებლო კომისია შეიკრიბა და მუშაობდა დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 7-10 საათამდე. თ. ვახტანგ ორბელიანოვმა წერილობითი ჩვენება წარმოადგინა, შემდეგ წერილობითივე ქართულად დაწერილი ჩვენება წარმოადგინა სოვეტნიკ თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა: ჩვენება გადათარგმნილ და წაკითხულ იქნა. შემდეგ მან გამოაგზავნა გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის სახელზე წერილი, რომელშიც გამოაცხადა, რომ ის თავის თავს დამნაშავედ აღიარებს ყველაფერში, რასაც კი მის წინააღმდეგ მისი თანამზრახველნი იტყვიან. გამოძიებულ იქნა თავადი ელიზბარ ერისთავი და შთაგონების შემდეგ ითხოვა გამოტეხილიყო იმაზე, რაც მის ჩვენებაში გვერდახვეულია და რაც სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანის ჩვენებით ირკვევა, მაგრამ თ. ერისთავმა თუმცა აღიარა, რომ მის ჩვენებაში ზოგიერთი დეტალი გამოტოვებულია, მაგრამ განაცხადა, რომ თავის შეთქმულებაში მონაწილეობაზე იმის მეტის თქმა არ შეუძლია, რაც თავის პირველ ჩვენებაში აქვს დაწერილი. ყველა ზემოაღნიშნული ეცნობა ბ. კორპატის უფროსობას. გენერალ-მაიორი ბაიკოვეცი, ს-ლი გენერალ-მაიორი ხოლხოვეცი, პოლკოვნიკი ტრიტელოვიჩი".

ჩვენებაში რამდენიმე მომენტია საყურადღებო. ალ. ორბელიანი თავის მოგონებებში წერს, რომ თითქოს ამხანაგებს სთხოვა, ჩემს შესახებ სთქვით, რომ მოისულელებსო, რათა აღიარება სერიოზულად არ მიეჩნიათ.

ვიდრე საბჭოური ციხეებისა და მის პატიმართა დაკითხვის ფაქტებს შევეხებოდეთ, მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესოა შევახსენოთ, თუ როგორ პირობებში ცხოვრობდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი. ცნობილია, რომ მეფის რუსეთი საშინელი კოლონიზატორული, ჟანდარმული ქვეყანა იყო, მაგრამ მის ფონზე მაინც სულ სხვა მასშტაბებსა და ყლერადობას იძენს საბჭოთა სისტემა.

დ. ყიფიანი წერს: „პირველ ხანებში ჩვენ ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ. თვითონ ასწრებდნენ ჩვენს სურვილებს, გვაჭმევდნენ





კარგად, დილაზე ვისაც რა ეამებოდა, იმას გვაძლევდნენ, ვის ჩაის, ვის ყავას და მე კი კაკაოსა, საღამოობით კი ყველას – ჩაის. მხოლოდ ერთხელ კი, ამ კაკაოს თაობაზე მისცა თავის თავს ნება შოსტენკომ და მკითხა: საიდან გაგიჩნდათ ასეთი ჟინი კაკაოს დალევისაო?

— ეს ჟინი კი არ გახლავთ, პოლკოვნიკო, ექიმმა მიბრძანა ვსვა, როგორც წამალი, მე გული მტკივა.

მაშინ მართლა, მე 18 წლისას გული მტკიოდა. მას შემდეგ შოსტენკო უფრო მეტის ყურადღებით გვექცეოდა. სამი თვის შემდეგ გადმოგვიყვანეს ამ ფრიად მძიმე მარტოობიდან და ორ-ორი და სამ-სამი ჩაგვსვეს ერთ ოთახში. ეს ჩვენთვის, დიახაც, უფრო ასატანი იყო, რადგან გარდა იმისა, რომ ერთი ბედის ამხანაგებთან მუსაიფი შეგვეძლო, წიგნების ძლევაც დაგვიწყეს. წასაკითხად გვაძლევდნენ სულის სალხინებელ წიგნებს, რაც მოეპოვებოდათ მაშინდელი შტაბის ბიბლიოთეკაში, ნება დართეს ოჯახობიდანაც ან უფრო სხვადასხვა საჭმელნი გამოეგზავნათ და აგრეთვე საცვალიც. ყველა ამას ჯერ, რასაკვირველია, კარგად გასინჯავდნენ ხოლმე და მერე დაგვირიგებდნენ.

ამისთანა ყოფაში რომ ვიყავით, თვით ჩვენმა დარაჯებმაც იცვალეს ფერი ჩვენს წინაშე. უფრო გულკეთილად გვეპყრობოდნენ, ასე რომ ხანდახან შეგვეძლო, ამათი პირით შეგვეთვალა რამე ოჯახში ჩვენი საზრდოსი და საცვლების შესახებ.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიყავით იმ სამწუხარო მდგომარეობაში, ჩვენს ოჯახებს რომ ეგონათ".[1]

ასე იყო 1832 წელს. განაჩენის მიხედვით, შეთქმულების მონაწილეები სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთში. იქ მუშაობის უფლება მისცეს, დაბრუნების შემდეგ კი, ვინც მეფის რუსეთისადმი ლოიალობა თუ ერთგულება გამოიჩინა, გულუხვად დააჯილდოვეს კიდეც.

ქართველი ინტელექტუალები დარწმუნდნენ, რომ იარაღით და შეთქმულებით არსებითად ვერაფერს ვერ დააკლებდნენ რუსეთის იმპერიას, საქართველო კი სულ უფრო და უფრო გადაგვარების გზაზე იდგა.

ბრძოლა პოლიტიკურ რომანტიზმსა და რეალიზმს შორის მთელი საუკუნე გაგრძელდა. გ. ერისთავმა და მისმა თანამოაზრეებმა

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 147.

რეალისტური გზა აირჩიეს. საქართველოში ყველაფერს განახლება და აღორძინება უნდოდა, უპირველესად კი ქართველს ხალხს – გაერთიანება. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა შეენარჩუნებინა ქართველს თავისი თვითმყოფადი სახე. ეს იყო შეთქმულების მონაწილეთა შემდეგი ამოცანა. ეს იყო ყველა მოწინავე ქართველის მოღვაწეობის მიზანი, მაგრამ ისინი მეფის საიდუმლო სამსახურების მიერ კონტროლზე იყვნენ აყვანილნი. როცა ილიამ ხალხს უთხრა: „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი . . . ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავსო", – ეს იყო ქვეყნის განახლებისათვის მოწოდება, ანუ, ქართველი ხალხის განახლების იდეა.

თბილისში მთელი ქართული კულტურა შექმნა უმცირესმა ნაწილმა. 1897 წლის აღწერით, თბილისში სულ 42 ათასი ქართველი ცხოვრობდა. მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე 24 %-ს თუ აღწევდა. სულ რაღაც ასამდე კაცმა იტვირთა მთელი მე-19 საუკუნის კულტურის შექმნა.

უპირველესად მწერლებისა და თეატრის მოღვაწეთა თავდადებით მოხდა განახლება, მაგრამ შემდეგ ილიას მკვლელობამ ფართო გზა გაუხსნა მარქსისტულ იდეოლოგიას, ქართველთა შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას. თანდათან გაღრმავდა იგი და მოიცვა მთელი საქართველო. დაპირისპირების პროცესში ჩათრეული აღმოჩნდება ყველა ფენა: ინტელიგენტიცა და გლეხიც, სტუდენტიცა და მოსწავლეც. ყველაფერი მოიცვა ანტაგონიზმმა და შიშმა, მაბეზღარობა თითქმის ცხოვრების წესად იქცა.

მორალური კრიზისი უფრო ძლიერად ანგრევს ქვეყანას, ვიდრე ეკონომიკური, პოლიტიკური ან სხვა კრიზისები, თუმცა მათ შორის ულრმესი კავშირია.

საბჭოთა საქართველოში ე. წ. „კლასთა ბრძოლის" რუსული იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე და ბერია. მათთვის საქართველო იყო რუსეთის ტერიტორიის პატარა მონაკვეთი, როგორც ამას ამბობდა სტალინი. მას პირდაპირ რაღაც ბიოლოგიური შიში ჰქონდა ყოველივე ქართულისადმი. ყველაფერი რუსეთის ახალი საბჭოური იმპერიის შექმნას დაუქვემდებარა. საკამათო არ არის, რომ სტალინი დიდი ისტორიული მოვლენა იყო. მისი არაადამიანური ენერგია, იდეოლოგიური ფანატიზმი, დაუნდობელი ხასიათი რუსული საბჭოთა იმპერიის შესაქმნელად გამოიყენა. ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით შეიარაღებული იმპერია, როგორც ეს თქვა უ. ჩერჩილმა, მაგრამ ამით ქართველმა ხალხმა რა მიიღო?





მე-20 საუკუნის 20-იანმა წლებმა ნიადაგი შეუმზადა მასობრივი რეპრესიების დიდსა და მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ უსასტიკეს ეპოქას, რომელმაც ზენიტს მიაღწია 1937 წელს.

რეპრესიების ირგვლივ გამოქვეყნდა არაერთი შრომა. მათ შორის: ვ. ცაცაშვილის, რ. კვერენჩხილაძის, ა. ასლანიკაშვილის, გ. მეგრელიძის, ბ. არველაძის და სხვების შრომები, რომლებმაც სუკის არქივებში ჩაიხედეს.

მეც ჩავიხედე სუკის საიდუმლო არქივებში. ანუ ჯოჯოხეთურ სამყაროში, რომლის კარები გაიხსნა ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს. როგორც ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარმა წერილით მივმართე მაშინდელ შინაგან საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელს, რათა დავეშვი ქართული თეატრის რეპრესირებულ მოღვაწეთა პირადი საქმეებისა და გამოძიების მასალების გასაცნობად. მისი თანაშემწე ვ. ქუთათელაძის დახმარებით საშუალება მომეცა ერთ თვეზე მეტ ხანს მემუშავა არქივში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვახტანგ ქუთათელაძე ყოველთვის დიდი ტაქტით და კეთილგანწყობით კურირებდა ქართული კულტურის სფეროს.

ჩემი უპირველესი ამოცანა იყო გენიალური რეჟისორის სანდრო ახმეტელის „საქმის" შესწავლა. ამ დროს რეპრესირებულნი უკვე რეაბილიტირებულნი იყვნენ. რეაბილიტაციის პროცესი კი 1954 წელს დაიწყო. იურიდიულად მალე გადაწყდა ყველა რეპრესირებულის რეაბილიტაციის საქმე, მაგრამ ძალიან დიდხანს გაგრძელდა მორალური და შემოქმედებითი რეაბილიტაცია. 1937 წლიდან თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე იმდენი შხამი გადმოანთხია სახელმწიფომ რეპრესირებულებისა და მათი ახლობლების წინააღმდეგ, ისე გაუტეხეს სახელი მათ მთელ თაობებში და იმდენად მტკიცედ დაინერგა შიშის ატმოსფერო, რომ რეაბილიტაციის შემდეგ ძალიან ძნელი გახდა ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ვარდევავა, შიშის სინდრომისაგან გათავისუფლება. განსაკუთრებით დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ახმეტელის რეაბილიტაციამ, რომელიც მრავალ ფაქტორთან იყო დაკავშირებული.

სუკის არქივის გაცნობისას ბუნებრივად იბადება კითხვა: მართლა არსებობდა თუ არა ანტისაბჭოთა შეთქმულება ახმეტელის მეთაურობით? აქ არ შეიძლება ერთნიშნა პასუხი: „ჰო" ან „არა".

ჯერ პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: დანაშაულად ითვლებოდა თუ არა ის, რომ:

ახმეტელი თანდათან დარწმუნდა, რომ მეფის რუსეთის დამხობამ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა არ მოუტანა, რასაც იგი ელოდა და ერთხანს სჯეროდა კიდეც.

იბრძოდა თეატრში რუსული გავლენის წინააღმდეგ;

ეძებდა ქართული ეროვნული თეატრის თვითმყოფად ფორმებს;

ეძებდა ეროვნული შემოქმედების საკუთარ მეთოდს;

იყო ეროვნული ღირსების გრძნობით ამაყი;

იყო პირდაპირი, მაქსიმალისტი, რადიკალი, ვერ ეგუებოდა თეატრში პარტიის დიქტატს;

იყო რადიკალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი;

იცავდა თეატრის ავტონომიურობის პრინციპს, არაქართული რეპერტუარის გაქართულების იდეას;

ჰქონდა ხანგრძლივი კონფლიქტი ლ. ბერიასთან;

იყო „დურუჯის" ერთ-ერთი ორგანიზატორი;

იყო სხვაგვარად მოაზროვნე და მტკივნეულად განიცდიდა აზროვნების სტერეოტიპიზაციის პროცესს.

საბჭოთა ხელისუფლება ახმეტელის პოზიციას ერთხანს მხოლოდ აკრიტიკებდა, ამასთანავე თეატრის მოღვაწეებს იყენებდა თავისი ეროვნული პოლიტიკის პროპაგანდის მიზნით. ახმეტელის „ნაციონალისტურ" კონცეფციას ჯერ არ ჰქონდა პოლიტიკური სტატუსი. 1935 წლიდან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფონზე (კიროვის მოკვლა, განკულაკების პროცესი და სხვა) ახმეტელის თეატრის კრიტიკა ბრალდებათა ხარისხში გადაიზარდა. ლ. ბერიას საშუალება მიეცა ანგარიშსწორებისა, რათა გაეტეხა ახმეტელის დამოუკიდებელი, მტკიცე ხასიათი.

ახმეტელს დანაშაულად ჩაეთვალა ყოველივე ზემოთქმული. აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო რეპრესიებამდე. ეს ნაბიჯიც მალე გადაიდგა. ასე რომ, ახმეტელის და მის თანამოაზრეთა დაპატიმრებას ჰქონდა გაუკუღმართებული, მაგრამ თავისებური „ლოგიკა". თუ სამშობლოს თავისუფლებაზე ფიქრი დანაშაულია, მაშინ იმათი რეპრესირებაც „ლოგიკურია", ვინც ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდა. აქედან გამოდის შემზარავი დასკვნა — საბჭოურ სისტემაში „ლოგიკური" იყო ახმეტელისა და მისი თანამოაზრეთა რეპრესირება. იმპერიის ტოტალიტარული ბუნება ვერ იგუებდა თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს.

დიქტატურის დროს, კლასობრივი ბრძოლების ჟამს, არავინ მისცემდა სხვა „ანტისაბჭოთა პარტიებიდან" გამოსულ ადამიანებს





შემოქმედებითს თავისუფლებას. ხოლო ახმეტელისა და მისი თაობის პატრიოტთა მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი.

სანდრო ახმეტელი 1923 წლის აგვისტომდე, პარტიული თვალსაზრისით, ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მხარეს იდგა. 1923 წელს გაზ. „ამიერკავკასიის რკინიგზელმა" (№29) გამოაქვეყნა განცხადება: „ვუერთდები რა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველივე არალეგალური მუშაობის შეწყვეტის შესახებ, ვთვლი რა ამას საზიანოდ ქართველი ხალხისათვის, ჩვენ რადიკალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები გაერთიანებული რადიკალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამით ოფიციალურად ვადასტურებთ გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაშლას. ალ. ახმეტელი, კ. ტყავაძე, ალ. ლორთქიფანიძე. 1923 წ. 5 აგვისტო, ქ. თბილისი".

ახმეტელს არ აპატიეს სამშობლოს სიყვარული.

ქართულ თეატრს გამოუტანეს განაჩენი.

„განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო", — წერდნენ საბრალდებო დასკვნებში.

რა იცოდნენ ქართული თეატრის მოღვაწეთა დიდი ჯგუფის გამომძიებლებმა: არტაშიანმა, ოსიპოვმა, კრემიანმა, ღარიბოვმა, შეკოტიხინმა, მხეიძემ, ცუნცრუკიანმა, რომ მათი განაჩენი საბოლოო არ იყო და ექვემდებარებოდა ისტორიის ახალ „განაჩენს".

წამებულთა სახეები უკვე ისტორიაა. ქართულ თეატრში ისინი უხილავი ძეგლებივით დგანან, ზოგი სულ მაღლა და მაღლა, ვარსკვლავეთისაკენ, აღმართულა, ზოგიც — სადმე მიფარებული. ჩვენ ვცადეთ სუკის არქივიდან დაგვენახა მათი ტანჯული სახეები — სულის ძეგლები!

ვიდრე მთავარ თემას დავუბრუნდებოდეთ, მანამდე უნდა გავიხსენო 1955 წელი.

6. ხრუშჩოვმა სტალინის სიკვდილისა და ბერიას დახვრეტის შემდეგ, ვიდრე ღიად, საჯაროდ დაიწყებდა დესტალინიზაციის პროცესს, მანამდე დაიწყო მოსამზადებელი პროპაგანდისტული მუშაობა — შესაბამისი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა. მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოსადმი... 1955 წელს თბილისში, რკინიგზელების კლუბში, მოეწყო მაღალი რანგის ყოფილი „ჩეკისტების" საჯარო საჩვენებელი სასამართლო პროცესი.

მოსკოვიდან ჩამოსული იყო და სხდომას ესწრებოდა გენერალური პროკურორი რუდენკო. ასამართლებდნენ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრებს: რაფავას, რუხაძეს, „ჩეკისტებს": წერეთელს, კრემიანსა და სხვებს. პროცესებს ძირითადად რეპრესირებულთა ოჯახის წევრები და ნათესავები ესწრებოდნენ. ეროსი მანჯგალაძის მამაც რეპრესირებული იყო, ერთხანს ეროსიც ესწრებოდა პროცესს, მაგრამ შემდეგ მითხრა: „ველარ გავუძელიო" და მე მომცა საშვები.

ჰოდა, ეროსის საშვებით ყიარე პროცესებზე თითქმის ერთი კვირა, მეტს ვერც მე გავუძელი, იმდენად თავზარდამცემი იყო, რაც მე მოვისმინე. აშკარად ჩანდა, რომ სტალინი იყო გლობალური ტერორის პირდაპირი და უშუალო ავტორი, ორგანიზატორი, გამტარებელი და თეორეტიკოსიც. ამ მხრივ იგი ნამდვილად ერთგული მოწაფე იყო ლენინისა და ტროცკის იდეებისა. ლენინი პირდაპირ მოითხოვდა: „უნდა წავახალისოთ მასობრივ-სანახაობითი ტერორი". ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის სანახაობრივ მხარეზეც ფიქრობდა პროლეტარიატის ყოვლად გადაგვარებული გეი-ბელადი. სტალინმა ხომ ფიცი დადო მის კუბოსთან, რომ გააგრძელებდა მილიონების მასობრივი დასჯის მისეულ გზას.

გააგრძელა კიდეც, მაგრამ მაშინ, როცა პროცესები იმართებოდა, ხალხმა თითქმის არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ხუკის ჯურღმულებში. პირდაპირ უცნაურია შიშის სინდრომი და მისი ფსიქოლოგია. თითქმის ყოველი მეორე ოჯახი რეპრესირებული იყო და მაინც ვერ წარმოედგინა, თუ პირადად სტალინის ან ბერიას ხელი ერია მასში. ჩურჩულითაც კი ვერ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს რეპრესირებულები ახლობლებს სტალინის ან ბერიას მონაწილეობის შესახებ.

დამნაშავენი ამბობდნენ, რომ პარტიისა და მთავრობის საქმეს აკეთებდნენ. ჩვენ საბჭოთა სისტემის სიძლიერეს ვემსახურებოდით, დოკუმენტები იქმნებოდა, პიროვნებას ვამოწმებდით, მართლა ამბობდა თუ არა ცუდს საბჭოთა ხელისუფლებაზე. ჩვენ ამის გაკეთება დაგვავალეს, სამსახურეობრივ საქმეს ვასრულებდით, საბჭოთა სისტემა ამაზე იყო დაფუძნებული, ჩვენ მას ვიცავდით და რაში ვართ დამნაშავენი?

ვ. რუხაძემ თქვა: „მაშინ, როცა ბერია საქართველოს შს სამმართველოს ხელმძღვანელი იყო, მე გაგრის „კაგებე"-ს განყოფილების უფროსი ვიყავი (1937 წლის ამბებია). მან გამომიძახა, თათბირი ჩაატარა და გვითხრა: თქვენ გამოძიების ფორმები დამუშავებული არა გაქვთ და ამიტომ ზოგიერთი არ აღიარებს. ამიერიდან მითითებას გაძლევთ: გაზით დაიწყეთ ფრჩხილების უკულმა დაძრობა და ჩვენც დავიწყეთ გაზით ფრჩხილების უკულმა დაძრობაო.

ჩემი სტუდენტობისას (თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი) ინსტიტუტის გვერდით იყო კინოთეატრი „სპარტაკი", იქ, სადაც ახლა სასწავლო თეატრია. ერთხელ სტუდენტებმა გავიგეთ, რომ ხალხმა დარბაზში საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციები მიმოაბნია და ისინი დააკავესო. ინსტიტუტის გამოსასვლელიდან დავინახეთ, რუსთაველზე როგორ გაატარეს „სპარტაკში" დაპატიმრებული 20-30 კაცი.

რკინიგზელთა კლუბში გამართულ პროცესზე კი გავიგე, რომ ეს აქცია მაშინდელი „კაგებეს" მიერ იყო ორგანიზებული – ანტისაბჭოთა პროკლამაციები თვითონ დაბეჭდეს, სინათლის ჩაქრობის და ფილმის ჩვენების დაწყების შემდეგ „სპარტაკის" ზედა იარუსიდან „ჩეკისტებმა" პროკლამაციები გადმოყარეს. ვისაც ხელზე ან თავზე დაეცა, ვინც აიღო, დაინტერესდა და წაიკითხა, იქვე ჩასაფრებული „ჩეკისტები" მიცვივდნენ. აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს ხელბორკილები დაადეს და წაიყვანეს.

აი, ასე გახსნეს „ეჯგუფური დანაშაული", რისთვისაც მათ წოდებები, ბინები მიიღეს. დაკავებულების გვარები არ ვიცი, მაგრამ დაკითხვის დროს მათ ფრჩხილებს თუ დააძრობდნენ, რასაკვირველია, ისინი არარსებულ დანაშაულს აღიარებდნენ.

კარგად მახსოვს ყაზახეთიდან ჩამოყვანილი ერთი ცალყურიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც 13-14 წლის ასაკში დაიჭირეს და გადაასახლეს. მანამდე იგი „კაგებე"-ში დაიბარეს – მას მამის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებას სთხოვდნენ. მან თქვა: მე-4 სართულზე ოთახში შემიყვანეს, სადაც 2 კაცი დამხვდა, შემდეგ მესამე შემოვიდა. მათ მითხრეს, დაწერე, რომ მამაშენთან ხალხი იკრიბებოდა, რომლებსაც სტალინის მოკვლა უნდოდათ (რეპრესირებულთა ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ხშირად სტალინისა და ბერიას მოკვლის მცდელობა გახლდათ). მე ვუთხარი, ტყუილია, ძია სტალინის მოკვლა მამაჩემს არ უნდოდა, მას ძია სტალინი უყვარდა-მეთქი. შემდეგ წამაქციეს, ხელ-ფეხი გამიკოჭეს და ერთმა „ბრიტვით" ყური ამაჭრა. ამის შემდეგ გადამასახლესო.

რუდენკომ ჰკითხა: აბა, შეხედე, აქ ხომ არ არის ვინმე ამათგანიო? ახალგაზრდა კაცმა უყურა, უყურა და მიათითა: აი, ის იყოო. მან ხელი კრემიანს დაადო, რომლის გვარი არ იცოდა, მაგრამ სახეზე იცნო. პროკურორი კრემიანს მიუბრუნდა და ჰკითხა: მართალს ამბობს

თუ არაო?! კრემიანი ადგა და თქვა: ეგ ამბავი იყო, მაგრამ არა მეოთხე სართულზე, არამედ მესამეზეო. ამ ცინიზმის გამო დარბაზში გოდება ისმოდა. რასაკვირველია, კრემიანი და მისი თანამოსაქმეები შეგუებულნი იყვნენ, რომ მათ დახვრეტდნენ.

კრემიანი ახმეტელის საქმეშიც ფიგურირებს. ეს მოგვიანებით, 1991 წელს სუკის არქივში, რეპრესირებულ მსახიობთა და რეჟისორთა პირადი საქმეების გაცნობისას გავიგე. ახმეტელს აქვს ფრაზა, რომ კრემიანი სადისტი იყო.

ქართულმა თეატრმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. რეპრესიები განიცადეს რუსეთის (მეიერჰოლდი, მიხოელსი და სხვა), უკრაინის (კურბასი და სხვა) და სხვა რესპუბლიკების თეატრებმაც. თეატრის მოღვაწეთა მსხვერპლშეწირვა უცხო ამბავი არ არის. ესპანეთის ფრანკოს რეჟიმმაც კულტურის ბევრი მოღვაწე (მაგ., გარსია ლორკა და სხვა) შეიწირა. მძიმეა ყველა დანაკარგი. მაგრამ არა მგონია ისეთი დიდი ყოფილიყო სხვათა დანაკარგი, როგორიც ქართული თეატრისა, თუმცა ამით არ მცირდება სხვა ქვეყნების კულტურისათვის მიყენებული ზარალის მნიშვნელობა.

ყველას თავისი სატკივარი აწუხებს და ჩვენც უპირველესად ქართული თეატრის მოღვაწეთა რეპრესიებზე ვწერთ.

რეპრესიები ორგვარი ხასიათისა იყო. ერთი — ფიზიკური, როცა უშუალოდ იყვნენ დაპატიმრებულნი და მეორე – სულიერი, როცა დაჭერის მოლოდინით ცხოვრობდნენ. სუკში თითქმის ყველა შინ დარჩენილზე გამზადებული იყო მასალები, რის საფუძველზე ნებისმიერ დროს შეეძლოთ მათი დაჭერა. დაჭერის საბაბად კი ყველაფერი გამოდგებოდა, იმდენად მრავალფეროვანი იყო ბრალდებათა ნუსხა. ეს იყო არანაკლებ საშინელი განაჩენი, რომელიც შინ დარჩენილ თაობებს გამოუტანეს. მაგონდება ერთ-ერთი თანამდებობის პირის ნაამბობი, რომელიც დაპატიმრებული იქნა და რამდენიმე წელი გაატარა ციხეში: ვიცოდი, რომ დამიჭერდნენ და ყოველდღე ველოდებოდიო. ეს იყო საშინელი პერიოდი, ხოლო როცა დამიჭირეს, შვებით ამოვისუნთქე, შიში გამიქრა, რადგან მოსახდენი მოხდაო. 1937 წლის ტრაგედია გამოვლილმა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა მითხრა: ღამით ხდებოდა დაჭერები და წინასწარ გამზადებული მქონდა „ჩემოდანი". ქუჩაში მანქანა რომ გაივლიდა, მისი ხმა მზარავდა, ვფიქრობდი, რომ ჩემს დასაჭერად მოდიოდნენო.

ბერიამ მეთვალყურეებისა და ჩამშვებების ფართო ქსელი შექმნა. მისი საშუალებით თითქმის ყველა ადამიანზე (განსაკუთრებით — მოაზროვნეებზე) შეადგინა პირადი საქმე, დიდი კარტოთეკა, ანუ დღევანდელი ტერმინით — საინფორმაციო ბანკი. სუკის საქმეთა შედგენაში ქართველებთან ერთად დიდ როლს ასრულებდნენ სომხები. ბერიას უახლოეს და ერთგულ თანამზრახველებად ეგულებოდა სომეხი ამხანაგები...

როცა სუკის არქივებს ვეცნობოდი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „აღიარებებს" არავითარი მორალური მნიშვნელობა არ გააჩნდა, ამიტომ მკითხველს ხაზგასმით უნდა განვუცხადო, რომ ნურავის განსჯის მისი „აღიარებების" გამო, ნუ იტყვის, რომ, ვინც „აღიარა", ის ვაჟკაცი არ არის ან ჩამშვებია, ან სუსტია, ან მოსყიდული იყო და ა. შ. დიდი ცოდვაა ერთნიშნა პასუხი და შეფასება. „აღიარების" ფაქტი იმდენ ამბავთან იყო დაკავშირებული, რომ არაფრის თქმა არ შეიძლება გადაჭრით, ერთნიშნად. ფიზიკური წამებისაგან გატანჯულებს რას სთხოვთ?

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენ, ქართველებს, გვიყვარს უარყოფითი შემთხვევების გადამრავლება და გავრცელება. განსაკუთრებით ვუთვალთვალებთ ხოლმე ცნობილ, სახელოვან ადამიანებს, იქნებ რამე შევემალოთ, იქნებ რამეში „გამოვიჭიროთ". ჩვენი რადიკალიზმი აქაც იჩენს ხოლმე თავს. ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვილაპარაკე ახმეტელზე და მის ტრაგიკულ ბედზე. მეორე დღეს ერთი თეატრალი შემხვდა და მკითხა:

— ყველაფერი თქვი იმ საშინელ თაობაზე?

— შენ რა გაინტერესებს? — ვკითხე.

— არაფერი... ისე, ხომ უნდა ითქვას იმ თაობაზე ყველაფერი, — შემომცინა თვალებში და ისე უსიამოვნოდ გაიკრიჭა, ვიგრძენი, რომ მას სრულიადაც არ აღელვებდა ეროვნული კულტურის ბედი. მთავარია, ერთი კვირის საჭორაო გაუჩნდეს. გული მეტკინა, რადგან იგი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. რატომ უნდა გიხაროდეს ქართველ კაცს, თუ უფრო მეტი აღმოჩნდება რეპრესიების ჯოჯოხეთურ მექანიზმში ჩათრეული? ყოველ თაობას თავისი ღირსებაც აქვს და ნაკლიც. აქ ზუსტად ვლინდება ერის თვისებები თავისი ავკარგიანობით, ასეთია თაობების ბედიც. თუ რომელიმე თაობამ რა სიმდიდრე შეიტანა ერის სულიერ საგანძურში ან რით შეირცხვინა თავი — ეს მეცნიერული კვლევის საქმეა და არა განცხადებებისა. იქნებ უცნაური პარადოქსიც კი მოხდეს, რომ უფრო წესიერმა, უფრო ზნეობრივმა თაობებმა ვაითუ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული

ფასეულობები შექმნა, ვიდრე ე. წ. „გასვრილმა“ თაობებმა, ამიტომ არ შეიძლება თაობათა ასეთი დაყოფა.

თავისთავად დიდი ტრაგედია იყო უდანაშაულო ადამიანთა განადგურება, მაგრამ რამდენს გარეთ დარჩენილს შეელახა ზნეობა. ეს არანაკლები უბედურება კი იმდენად მრავალფეროვანი იყო და იმდენად მასობრივი, რომ თუ დღეს მათ მხილებას დავიწყებთ, ალბათ, იგი გაუტოლდება ოცდაჩვიდმეტი და შემდგომი წლების დანაკარგს. იმ წლებში, როცა მწერალთა კავშირიდან რიცხავდნენ ან თანამდებობებიდან ხსნიდნენ (როგორც რეპრესიის წინაპირობა!) მავანს და მავანს, ვინც ამ საქმეს თუნდაც უსიტყვოდ დასტურს აძლევდა — რა კვალიფიკაცია მიეცემა მის საქციელს? გაზეთებში ხომ იბეჭდებოდა, ვინ ესწრებოდა ამგვარ მხილებას? განა, იგივე არ ხდებოდა თეატრებში? საინჟინრო თუ სამედიცინო, პარტიულ თუ სამთავრობო, საკოლმეურნეო თუ სახელმწიფო დაწესებულებათა სფეროებში? ხედავთ, რა მასშტაბის მოვლენასთან გვაქვს საქმე?

ჩვენ გამოვდგებით მათ მსაჯულებად? ჩვენ და ის ხალხი პოლარულად განსხვავებულ ისტორიულ პირობებში ვცხოვრობთ და მხოლოდ ისტორიზმის პრინციპით შეიძლება იმჟამინდელ მოვლენებზე მსჯელობა. გასაგებია, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ არა ეჟოვის, იაგოდას, ბერიას ტიპის ადამიანებზე, არა დამბეზღებელ ენთუზიასტ აქტივისტებზე, არამედ იმ საერთო ეროვნულ კრიზისზე, რომელმაც ფართო წრეები მოიცვა. როცა იმ თაობებს ვაკრიტიკებთ, იქნებ სჯობდეს ისიც წარმოვიდგინოთ, როგორ მოვიქცეოდით ჩვენ ისეთსავე ექსტრემალურ (ღმერთმა დაგვიფაროს!) სიტუაციაში რომ აღმოვჩენილიყავით?!

ასე ადვილი იყო პროტესტი, ხმის ამოღება მძვინვარე დიქტატურის დროს?

რეპრესიების შედეგები ადამიანთა მარტო ფიზიკური განადგურებით არ განისაზღვრება. ამ დიდი ტრაგედიის გავლენის სფეროს საზღვარი არა აქვს, თაობიდან თაობებში გადავიდა, სულიერი ჭრილობები ადვილად არ შუშდება. რეპრესიებმა ადამიანთა ყველა სუსტი მხარე წარმოაჩინა. შეუძლებელია, აუღელვებლად გადაათვალიეროთ 1937 წლის პრესა, შემზარავი სურათია. „აჭარის პროცესის“ გამო გაზეთის მარტო ერთ ნომერში წერილებს ასეთი სათაური აქვს: „შევმუსროთ გველის წიწილები“, „გავსრისოთ ქვეწარმავლები“, „ძაღლებს ძაღლური სიკვდილი“, „ცოფიანი ძაღლები უნდა დაიხვრიტონ“. ამას წერდნენ უდანაშაულო ადამიანებზე. სწორედ





ამ ფონზე იწერებოდა სტრიქონები: „ჩვენი ხალხი ცხოვრობს საამური და ბედნიერი ცხოვრებით“. რა არის ეს? ცინიზმი? ტრაგიკული ფარსი? ალბათ — ერთიც და მეორეც.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო თეატრი. მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის თეატრებმა სოცშეჯიბრის ვალდებულებებში ერთ-ერთ მუხლად შეიტანეს:

„ჩვენს რიგებში არ დავუშვებთ ხალხის მტრებს, დივერსანტებს, მავნებლებს, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტელ-ბუხარინელებს“.

ლ. ბერიამ მასობრივი რეპრესიებისათვის დიდძალი მასალა მოაგროვა. სამზადისს იგი ექვსი-შვიდი წლით ადრე შეუდგა. ყველა ცნობილ ქართველ მოღვაწეს თავისი მეთვალყურე მიუჩინა, ყველანი აიყვანა სუკის კონტროლქვეშ. ამის შესახებ იმ ხალხმა არაფერი არ იცოდა, რადგან გარეგნულად თითქოს საშიში არაფერი ხდებოდა. თეატრში მიდიოდა მოდერნიზაციის პროცესი. კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ქმნიდნენ სრულიად ახალ, ევროპული მასშტაბის დიდ თეატრალურ კულტურას, მათ ირგვლივ გაერთიანებულნი იყვნენ ქართველი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, დღითიდღე წინაურდებოდნენ ახალგაზრდა მსახიობები, ასპარეზზე გამოდიოდა ახალი თაობა, იყო მიმდინარეობათა და ექსპერიმენტების მრავალსახეობა, ძველი და ახალი თაობები ქმნიდნენ ქართული კულტურის დიდ პანორამას.

1933 წლამდე, ვიდრე მკაცრი ცენზურა არ დამყარდა თეატრებზე, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო თეატრის შემოქმედება, თუმცა პარტია პოლიტიკურად მხარს უჭერდა პროლეტარულ მწერლობას, იდეურ ნაწარმოებებს, აქეზებდა, ასტიმულირებდა საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს.

სტალინი ყველაფრის საქმის კურსში იყო, რაც საქართველოში ხდებოდა. თავად ცუდი პოეტი არ იყო, მშვენიერ ლექსებს წერდა სიჭაბუკის წლებში. ლიტერატურული გემოვნება არ აკლდა, მაგრამ იმდენად ფანატიკური ხასიათი ჰქონდა მის კოსმოპოლიტურ (რომელსაც ინტერნაციონალისტურს უწოდებდა), პირდაპირ ფანატიკურ გატაცებას ახალი,უტოპისტური,ვითომ სამართლიანობის პრინციპზე დამყარებული სახელმწიფოს შექმნის იდეას, რომ რადიკალურად მხარს უჭერდა კომუნისტური იდეოლოგიის ნაწარმოებებს, თუნდაც ის პრიმიტიული და ანტილიტერატურული მოვლენა ყოფილიყო. ამის ტიპური მაგალითია რუსთაველის პირველი პრემიის მინიჭება ვინმე ნ. ფხაკაძისათვის პოემისათვის „შრომადღეები“.

რუსთაველის 750 წლისთავისათვის საიუბილეო ოქროს მედალი დიდ მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს დაუკვეთეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნ. ფუხაძის პოემას გააცნობდნენ სტალინს, ისე ვინ გაბედავდა რუსთაველის პრემიის მინიჭებას. ამასთანავე, სტალინი იცნობდა კიდეც ნ. ფუხაძეს. მისი პოემის დაჯილდოების ისტორია გამოაქვეყნა ლ. გოჩელაშვილმა.

თუ როგორი იყო პოემის „მხატვრული დონე", მარტო ორ სტროფს დავიმოწმებთ:

„შრომადღის ენით ლაპარაკობს
კაგანოვიჩი, ჩვენი ბერია,
დიდი მოსავლის დღეს იმით ამკობენ
მხარე შრომადღის მადლიერია.
ჩვენ სტალინს, ჩვენს ცეკას
ვადიდებთ, ვუერთგულებთ.
ერთად ვიშრომოთ, ერთად ვილხინოთ,
ერთად ვმხიარულობთ".

საქმე ის კი არ არის, რომ პოემას არაფერი საერთო არა აქვს პოეზიასთან და საერთოდ, ნორმალურ აზროვნებასთან, მთავარია სტალინის მხარდაჭერის ფაქტი.

ასეთ ისტორიულ ფონზე, იდეოლოგიური ბრძოლის ასეთ ფორმებზე, როცა ვლაპარაკობთ, თითქოს უფრო გასაგები ხდება, რატომ მოეწყო უპირველესად მოაზროვნე ხალხის მასობრივი განადგურება.

ბოლშევიკებს ძალიან სჭირდებოდათ რეპრესიების შემდეგ უკვე მოთვინიერებული შემოქმედებითი ინტელიგენცია. ამიტომ საკმაოდ მოქნილი პოლიტიკა ჰქონდათ. შესანიშნავად ფლობდნენ ადამიანური სისუსტის გამოყენების ხერხს. საკმაოდ გულუხვად აჯილდოებდნენ ორდენებით, მედლებით, წოდებით, სიგელებითა და სხვა ათასი წამახალისებელი ფორმებით, რომლებიც დაჯილდოებულში ზრდიდა უპირატესობის გრძნობას, ამბიციას, გამორჩეულობის განწყობას.

ამ ცდუნებას თითქმის ვერავინ გადაურჩა.

მასობრივი იდეოლოგიზაციის პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ქართულ თეატრს უნდა აესახა საბჭოთა ცხოვრება თავის პოზიტიურ განვითარებაში. სოციალისტური რეალიზმის ეგიდით ფართოდ ინერგებოდა ყოველგვარი უნიჭობა, გზა ეხსნებოდა „მაღალიდეურ" და „აქტუალურ" თემებს. თანდათან შეუმჩნევლად იჭრებოდა იგი ადამიანის სულში.





ერთობ ძლიერი აღმოჩნდა „იდეური" და „აქტუალური" ნაწარმოებების გათავისების ტენდენცია. მას ხარკს უხდიდნენ თვით საუკეთესო მწერლები და მხატვრები, რეჟისორები და მსახიობებიც. ალბათ, არავინ არ დარჩენილა ისეთი, რომ რაღაცა კომპრომისი არ დაეშვა, არ დაეწერა რაიმე სტალინზე, სოციალისტურ რეალიზმზე, არ შეექმნა „მაღალიდეური ქმნილება".

დიდი იყო სულიერი დანაკარგი, ბოლშევიკური იდეოლოგია მოიცავდა ყველა განედს ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ მეტისმეტად ერთხაზოვანი იქნება მსჯელობა, თუ აქ დავუსვამთ წერტილს. შემოქმედებითი გენი უფრო ღრმაა და უფრო ძლიერი, ვიდრე პოლიტიკური კონიუნქტურა თუ სხვა რამ მსგავსი მოვლენები. იგი თვით სახელმწიფოს ძალაუფლებაზეც მეტია. მას შეუძლია წაართვას სიცოცხლე, მოსპოს ფიზიკურად, მაგრამ მთლიანად ვერ ჩაკლავს ადამიანის შემოქმედებით უნარს. აი. სწორედ ისეა, როგორც ო. იოსელიანის ერთ ფილმში („აპრილი") ხდება. გზა გაჰყავთ, ასხამენ ცხელ ასფალტს, მაგრამ ბალახის სუსტი ღერო მაინც გაარღვევს ასფალტის ფენას და სიმღერით ამოდის მაღლა. ისევ გადაუვლიან „კატოკით", ისევ დაასხამენ ცხელ ასფალტს, მაგრამ მინდვრის ყვავილიც ისევ გაპობს მის ფენას და მღერის. ასე გრძელდება მუდამ, ვერავითარი ძალა ვერ სპობს სიცოცხლეს. იგი მარადიულია.

ასეა შემოქმედებაშიც. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს გალაკტიონმა რამდენი ლექსი დაწერა ლენინზე, მთავარია მისი დიდი შემოქმედება. ასე გადაურჩა საქართველოს ზ. ფალიაშვილის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, პ. კაკაბაძის თუ მრავალი სხვა ხელოვნის შემოქმედება, ღირსეულად გაუძლეს ტოტალიტარული იდეოლოგიის მარწუხებს, გმირულად გამოატარეს უკვდავი სული და ხალხის კუთვნილებად აქციეს. ხშირად მაღალი მხატვრული ღირებულება ჰქონდა (მაგ., გ. ლეონიძის პოეზია) თვით ე. წ. „იდეურ" ნაწარმოებებს, რომელიც ყველასათვის ერთნაირად მისაღები იყო.

საბჭოთა ეპოქა ღრმად წინააღმდეგობრივი იყო. საქართველოში კიდევ უფრო მძაფრად ვლინდებოდა იგი, რადგან 1918-21 წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. დაიწყო კულტურული აღმავლობა. რუსთაველის თეატრს გადაეცა ის შენობა, სადაც ამჟამად არის.

პირველად დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", პენსიები დაენიშნათ ცნობილ მსახიობებს.

ქართულ თეატრში ნამდვილი რენესანსი იყო 20-იანი წლები. 1933 წლამდე ტარდებოდა დიდი ექსპერიმენტები. 1933 წელს „ყაჩაღების" დადგმის შემდეგ კი ახმეტელმა განაცხადა, რომ დამთავრდა დიდი ექსპერიმენტების ეპოქა — თეატრის სიჭაბუკის ხანა. ამ ფაქტში მარტო წმინდა მხატვრული სტილის თუ აზროვნების სიმწიფისა და სიბრძნის ხარისხი არ იგულისხმება. რატომ უნდოდა ახმეტელს თეატრის მიმართულების შეცვლა? მიზეზი არ არის მარტო იმაში, რომ მეტად დაინტერესდა ევროპაში ინტელექტუალური თეატრის ტენდენციებით. მიზეზთა მიზეზი უფრო ღრმაა და იგი ძევს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ხასიათში. ეს ის დროა, როცა სტალინმა დაამარცხა ოპოზიცია ტროცკის სახით, განდევნა იგი ქვეყნიდან. სტალინის ავტორიტეტი თანდათან გაძლიერდა და ყველა სადავეები ჩაიგდო ხელში. გაძლიერდა იდეოლოგიური ზეწოლა. 1933 წელს გამოვიდა დადგენილება, რის საფუძველზეც თეატრებზე დამყარდა უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლი. ქართული და მსოფლიო კლასიკური პიესები დაიყო კატეგორიებად. ცალკე იყო აკრძალული პიესების სია, ცალკე — ასე თუ ისე მოსათმენი და დასადგმელად წასახალისებელი პიესები. თეატრებს აეკრძალათ სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის" და დ. ერისთავის „სამშობლოს" და სხვა პატრიოტული პიესების დადგმა. დაიშალა მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფება. შეწყდა ყოველგვარი ექსპერიმენტები, სხვადასხვა მიმდინარეობა. შემოქმედთა თავისუფლების ის დონე, რომელიც მოიცავდა მოდერნისტულ ძიებებს, წარსულს ჩაბარდა. ვერც კ. მარჯანიშვილმა და ვერც ს. ახმეტელმა ამ ატმოსფეროს პირობებში ვერავითარი ახალი დიდმნიშვნელოვანი სპექტაკლები ვერ შექმნეს. სოცრეალიზმის დოქტრინა ყოველდღიურად იმყარებდა პოზიციებს. კ. მარჯანიშვილი იძულებული იყო 1932-33 წლებში დაედგა მხატვრულად სუსტი, მაგრამ იდეური პიესები.

იგივე ხდებოდა რუსთაველის თეატრში 1933 წლის შემდეგ 1934-35 წლების სეზონშიც. დიდი რეჟისორების ხელში წარმატებით განებივრებული მსახიობები კი თავისას მოითხოვდნენ. პრეტენზიებს უცხადებდნენ თავიანთ მასწავლებლებს. მსახიობის ხელოვნება ნაკლებად იდეოლოგიზირებულია რეჟისორებისაგან განსხვავებით და ამდენად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ რეჟისურა მსოფლმხედველობაა, კონცეპტუალურია და იდეოლოგიური წნეხიდან





თავის დაღწევა ასე ადვილი არ იყო. სწორედ ასეთი პირობების გამო ახმეტელის წინაში სულ სხვა მასშტაბის პრობლემები დადგა. რა თქმა უნდა, ის უარს ვერ იტყოდა თავისი ეროვნული თეატრის პრინციპებზე. თავისი მიზნის განსახორციელებლად ახალ სიტუაციაში უნდა მოენახა ახალი ფორმები, ახალი სტილისტიკა. იგი საცსებით ნათლად ხედავდა, რომ პოლიტიკურ-რომანტიკული თეატრის ეპოქა დამთავრდა. საჭირო იყო ახალი ტაქტიკის შემუშავება. დაიწყო ფიქრი ახალ რეპერტუარზე, ახალი თეატრის პრინციპებზე. ამის შესახებ ლაპარაკობდა რეპეტიციებზე, საჯარო გამოსვლებში. მისთვის მნიშვნელოვანი გზავნილი იყო, როცა გაზ. „პრავდაში" და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში წერდნენ: „საბჭოთა და ნაციონალური კულტურები". იგი ამბობდა, რომ დასახელებულ თეზისში შეფარულად ჩანს რუსული კულტურის უპირატესობის იდეა. „ნაცი. ალური", ანუ რესპუბლიკების, კულტურა კი ქვემდგომდომულიაო. ერთი შეხედვით, თითქოს დეტალია, მაგრამ მასში ირეკლება ახალი საბჭოთა რუსული იმპერიის ფორმირების პროცესი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და მას უპირველესად სწორედ სტალინი ხელმძღვანელობდა. იგი არავის აპატიებდა ამ ტენდენციის წინააღმდეგ გამოსვლას. 1935 წლის აგვისტოს თათბირზე ბერიამ პირდაპირ უთხრა ახმეტელს: შენს მუშაობაში არის ფაშისტური მეთოდებიო, თუმცა მას ჩვენც ვიყენებთ, მაგრამ არა ისეთი დოზით, როგორც შენ თეატრშიო. იქვე მთავრობის ხელმძღვანელმა პირებმა გარკვევით განაცხადეს: დადგა დრო, თეატრს სისხლი გამოვადინოთო. ვინც ამ დოკუმენტს კარგად გააანალიზებს, ნათლად დაინახავს, რომ 1935 წლისათვის ახმეტელის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

არ გამართლდა ახმეტელის იმედი, როცა რუსეთში მეფის დამხობის შემდეგ განაცხადა: „მოკვდა მონარქიზმი რუსეთში და მასთან ერთად მისი ულმობელი პოლიტიკა ჩვენშიო".

ისტორიულად მოკლე ეპოქაში, მეფის რუსეთის დამხობასა და ახალი საბჭოური რუსული სტალინური იმპერიის შექმნისათვის ბრძოლის შუალედში, სული მოითქვა ქართულმა (და არამარტო ქართულმა) შემოქმედებითმა გენიამ და კოლოსალურ შედეგებს მიაღწია. მოდერნისტულმა ძიებებმა გამოავლინა ახალი რეჟისორული და აქტიორული ძალები, ახალი მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა, მეცნიერება. ერთი სიტყვით, საოცარი აღორძინება დაიწყო ქართულმა სულიერებამ, მისმა აზროვნებამ.

1933-37 წლის შემდეგ დარჩენილ თაობებს კი უნდა მოენახათ არამარტო თავის გადარჩენის, არამედ ქართული ეროვნული თვითმყოფადობის ხსნის, ახალი ფორმის წინააღმდეგობების შექმნისათვის ბრძოლის ფორმები. პირდაპირ გახსნილ ბრძოლას შედეგი აღარ მოჰქონდა და საჭირო იყო უფრო მოქნილი და რეალისტური აზროვნება. თვითცენზურის მძლავრი მექანიზმის პირობებში უნდა გადაერჩინათ ეროვნული თვითმყოფადობა. ამ პრინციპით იდგმებოდა სპექტაკლებიც.

რა იდგმებოდა 1921-1937 წლების ქართულ თეატრში? ჩვენ საილუსტრაციოდ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს დავიმოწმებთ. მოცემული ეტაპი განსხვავებულია იმით, რომ ეს არის თეატრის მოთვინიერების, მისი „ნაციონალისტური სულის" დათრგუნვისათვის ბრძოლის ეპოქა. 1937 წელი გარკვეული მიჯნაა. ამის შემდეგ თეატრი უფრო ერთსახოვანი ხდება, უფრო მოთვინიერებული მთელი სტალინური ეპოქის პერიოდში. თითქოს გატყდა, დათმო, შეეგუა, გაორების სინდრომმა იძალა, მაგრამ ქართულ თეატრს არც ამ წლებში შეუწყვეტია ბრძოლა. იგი ქმნის რეჟისორულ და აქტიორულ შედევრებს!

დავუბრუნდეთ 1921-1937 წლების მეტნაკლებად მნიშვნელოვან დადგმებს:

რუსთაველის თეატრში იდგმება: ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?", ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში", ო. უაილდის „სალომეა", გ. ერისთავის „გაყრა", ჯ. სინგის „გმირი", ე. ტოლერის „კაცი-მასა", მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო", გ. კაიზერის „გაზი", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" და „უბედურება," ს. შანშიაშვილის „ლატავრა", ვერფელის „კაცი სარკიდან", შექსპირის „ჰამლეტი", გ. რობაქიძის „ლამარა", „მალშტრემი", „ლონდა", ა. გლებოვის „ზაგმუკი", ბ. ლავრენიევის „რღვევა", ს. შანშიაშვილის „ანზორი", ვ, კირშონის „ქართა ქალაქი", ა. მაშაშვილის „განგაში", შ. დადიანის „თეთნულდი", ფ. შილერის „ყაჩაღები", ი. კოჩერგას „მაისტერი", ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები", ს. შანშიაშვილის „არსენა", ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა", შექსპირის „ოტელო", შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" და სხვა.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში: ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", შ. დადიანის „კაკალ გულში", ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს", ქ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა", პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", კ. კალაძის „როგორ", დ. შენგელაიას „თეთრები", ბ. შოუს „ბეატრიჩე ჩენჩი", კ. კალაძის „ხატიჯე", ა. ქუთათელის „შუაღამემ გადაიარა", ი. ოლეშას „სამი ბღენძი", ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა", ი. მიკიტენკოს „ანათეთ,ვარსკვლავებო", კ. კალაძის „სახლი ზღვის პირას", ა. აფინოგენოვის „შიში", შექსპირის „ოტელო", ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში", შ. დადიანის „ნინოშვილის გურია", ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა", ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული", გ. ბააზოვის „იცკა რიჟინაშვილი", ი. ჭავჭავაძის „ჩატეხილი ხიდი", ი. ვაკელის „შამილი", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ", მოლიერის „ძალად ექიმი", ა. პუშკინის „მოცარტი და სალიერი", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება", შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", ი. ვაკელის „შური".

საინტერესოა, თუ რას დგამენ აკადემიური თეატრები ყველაზე ტრაგიკულ 1937 წელს?

რუსთაველის თეატრი დგამს: ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობას", გ. მდივნის „ბრმას", შექსპირის „ოტელოს", შ. დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან", ხოლო მარჯანიშვილის თეატრში წარმოადგენენ: გ. ბააზოვის "იცკა რიჟინაშვილს", პუშკინის „მოცარტს და სალიერის", და „ქვის სტუმარს", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს", ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებას". შ. დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან".

რეპერტუარის ანალიზიდან ჩანს, რომ თეატრი მაინც აზერხებს გაუსხლტეს იდეოლოგიის ტოტალიტარულ დაწოლას, კლასიკაში პოვოს თავშესაფარი, სული მოითქვას. ათი დადგმიდან ასეთია ხუთი, გამოდის,რომ ნახევარი მაინც ის არის, რაც ჰუმანისტურ პრინციპებს დაეფუძნება. საინტერესოა ისიც, რომ ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის („იცკა რიჟინაშვილი", „ნაპერწკლიდან") გვერდით არის პიესა, რომელიც უშუალოდ რეპრესიების დრამატულ დღეებს ასახავს. ჩვენ ვლაპარაკობთ ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობაზე". პიესაში გამორჩეულ ინტერესს იწვევს უდანაშაულო ადამიანის დაღუპვის მცდელობის იდეა. დივერსანტები და ჯაშუშები ცდილობენ დაღუპონ საუკეთესო მუშაკი, მაგრამ საბოლოოდ მტრები მხილებულნი არიან. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი მომენტის აღიარება გვაინტერესებს. იმის

დაფიქსირება, რომ მაშინ ბევრი იყო დამბეზღებელი, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კარიერისტული მიზნით ღუპავდნენ პატიოსან ადამიანებს.

„გმირთა თაობამ" გამოხატა რეალობა. როცა დაიწყო რეპრესიები, ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა „მტერთა" მხილებაში. იმართებოდა კრებები, მიტინგები, იბეჭდებოდა წერილები. ზოგს მართლა სჯეროდა, რომ არსებობდნენ „ხალხის მტრები", ჯაშუშები, ზოგი შიშის გამო ამხელდა სხვას, რომ თავი გადაერჩინა. მოტივი ისევე ბევრი იყო, როგორც თავად ადამიანთა ხასიათები და ცხოვრების წესი. მარტო მწერალთა გაზეთის („ლიტერატურული საქართველო") გადათვალიერებაც კი კმარა, რომ საშინელი სურათი გადაიშალოს. როგორ უჭირთ ადამიანებს ცხოვრება, როგორ ცდილობენ, თავი გადაირჩინონ. რა ექნათ? არ გამოხმაურებოდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს? ერჩიათ დაჭერა და წამება? შეეძლო კი ყველას ამის გაკეთება? — მხოლოდ ერთეულებს!

1937 წლის 31 ივლისს მწერლობამ ნ. ეჟოვს წერილი გაუგზავნა: „გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის ფოლადისებურ გუშაგს — შინსახკომს და მის სახელოვან ხელმძღვანელს, ამხ. ეჟოვს." ამავე ნომერში 18 ქართველმა მწერალმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც მხილებულია ა. თათარაშვილის მავნებლურ-დივერსიული მუშაობა. ყოველ ნომერში იბეჭდება „ხალხის მტერთა" მამხილებელი წერილები. ვის გვარებს არ შეხვდებით აქ. ამ დროს მათი მამები და დედები, დები და ძმები, მეგობრები და ახლობლები ციხეებში იტანჯებოდნენ, ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი უდანაშაულობა.

ი. გრიშაშვილი გულისტკივილით წერდა: „კარგი, ვთქვათ ლექსი ვერ მოგიძღვენით, ნუთუ ამიტომ მტერი ვარ თქვენი?".

ქართველთა მასობრივი ტანჯვა-წამების ფონზე 1937 წლის 10 ივნისს მოსკოვის დიდი თეატრის ლოჟაში რჩდებიან: სტალინი, მოლოტოვი, ხრუშჩოვი, მიქოიანი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ბერია. ესწრებიან ზ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერი". 14 იანვარს კვლავ მიდიან ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს" სანახავად სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ხრუშჩოვი, მიქოიანი და ბერია. საქართველოში უხაროდათ, რომ ბელადმა ინება ქართულ თეატრში მოსვლა, თანაც პოლიტბიუროს შემადგენლობით. ბერიასთვის ეს „დიდი ქართული" აქციაც იყო. შ. დადიანმა სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდზე შექმნა პიესა „ნაპერწკლიდან",





რომელიც ჯერ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, ხოლო შემდეგ ბერიას მითითებით — რუსთაველის თეატრშიც.

ორი თეატრის რეპერტუარიდან ჩანს, რომ რუსთაველელები უფრო შეშინებულნი არიან, უფრო მეტ „აქტუალურ" პიესებს დგამენ. 1935 წლის გაკვეთილი კარგად ახსოვთ, ეცდებიან არ გაიმეორონ ახმეტელის „ნაციონალისტური" შეცდომები. მხოლოდ ერთი „ოტელოა" კლასიკა. ამ თვალსაზრისით მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარი უფრო „აპოლიტიკურია", თუმცა დაიდგა „ნაპერწკლიდან" და „იცკა რიჟინაშვილი". იქნებ ეს გასაგებიც იყოს, უდიდესი იყო დარტყმა, რომელიც რუსთაველის თეატრმა გადაიტანა. 1937 წელს მისი ბევრი მსახიობი დაჭერილი და ნაწილი უკვე დახვრეტილიც კი იყო. მათი ფიზიკური განადგურება ხომ თეატრის არც ერთ ადამიანს არ უნდოდა, ამიტომ გაიოლებულად არ უნდა შევხედოთ რუსთაველელთა სულიერ მდგომარეობას — უღრმესი ტრავმა მიიღეს. ერთ სიბრტყეზე არ უნდა დალაგდეს 1935 წლის სათეატრო კონფლიქტი და 1937 წლის რეპრესიები, თუმცა აქ მაინც იჩინა თავი მსახიობთა პოლიტიკურმა უმწიფრობამ. ისინი დიდი პოლიტიკური თამაშის უნებლიე მონაწილენი გახდნენ.

1935 წლის 24 სექტემბერს გაზეთმა „კომუნისტმა" მთელი გვერდი უძღვნა რუსთაველის თეატრის ცვლილებებს. „რუსთაველის თეატრი გარდაქმნის გზაზე", სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ კი ამავე გაზეთში დაიბეჭდა წერილი „რუსთაველის თეატრი აგვიანებს გარდაქმნას". აი, უმოკლეს დროში „უკვე გარდაქმნის გზაზე შემდგარა. რასაც უნდათ და როგორც უნდათ ისე წერენ, სიცრუეს არავინ არა ჰყავს შემფასებელი. რუსთაველის თეატრის დირექტორის, ე. გორდელაძის, აზრით, ს, მთვარაძის „შლეგის" დადგმით თეატრმა „გააღრმავა პიესის ნაკლი, რის გამო მივიღეთ მავნე სპექტაკლი. ამ დადგმაში თეატრი კვლავ დაუბრუნდა „ლამარას" ნაციონალისტურ ტრადიციებს". ახმეტელს არ სურდა, „ხელი აელო წინანდელ პოზიციებზე". სტატიაში ამავე „ნაციონალისტური" პოზიციებიდან არის შეფასებული „თეთნულდი".

ბერიამ ფართოდ გაშალა ახმეტელის წინააღმდეგ პროპაგანდა. სწორედ სუკის ხელით იყო შეთითხნილი, ვითომ მოსკოველი ქართველები წერდნენ ახმეტელს: „ჩვენ უკმაყოფილონი ვართ თქვენი მუშაობისა, რას აკეთებთ? რატომ სპობთ რუსთაველის თეატრს, დგამთ უვარგის პიესებს. ჩვენ ჩრდილოელი ქართველები გაძლევთ ერთი თვის ვადას, რათა გააუმჯობესოთ რეპერტუარი. წინააღმდეგ

შემთხვევაში წაგართმევთ სიცოცხლეს". ეს შეთითხნილი ანონიმური წერილი სულიერი ტერორის ნაწილია.

1937 წელმა ხერხემალი გადაუტეხა რუსთაველის თეატრს. ს. ახმეტელისა და მსახიობთა ჯგუფის დაკარგვასთან ერთად მან დაკარგა გაბედული შემოქმედებითი ექსპერიმენტების, მრავალსახოვან ძიებათა სურვილი.

არც მარჯანიშვილის თეატრი იყო კარგ დღეში. არსებითად აქ ადრევე დაიწყო თეატრის „იდეური გარდაქმნისათვის" სამზადისი. ისევე ხდებოდა კოტე მარჯანიშვილის „დამუშავება", როგორც ს. ახმეტელისა. მხოლოდ „დამუშავების" ვარიანტები იყო სხვადასხვა. ახმეტელი „ბურჟუაზიულ ნაციონალისტად" წარმოადგინეს, მარჯანიშვილი კი — „ბურჟუაზიულ ესთეტად". „რაპპელები" და მისი ჯურის ხალხი დღენიადაგ უტევდნენ თეატრს. პრიმიტიულად გაგებული იდეურობის საფარქვეშ დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა იყო გაშლილი თეატრების ირგვლივ. სუკის არქივებში ფიქსირებულია ამ ბრძოლათა სხვადასხვა დინება.

რა ბრალსა სდებდნენ კოტე მარჯანიშვილს 1932 წელს?

- კოტე მარჯანიშვილი იყო ბურჟუაზიული ესთეტი.

- კოტე მარჯანიშვილი ქართველ დრამატურგებს ექცეოდა დაუშვებლად.

- კოტე მარჯანიშვილი ანგარიშს არ უწევდა პარტორგანიზაციას.

- კოტე მარჯანიშვილი თეატრში ფლანგავდა სახელმწიფო ფულს.

- კოტე მარჯანიშვილი ვერ ახდენდა თეატრიდან წვრილბურჟუაზიული ტენდენციების გამოდევნას.

- კოტე მარჯანიშვილის თეატრში გაბატონებული იყო დაჯგუფებები.

ეს ბრალდებები შეადარეთ ს. ახმეტელისას და დაინახავთ, რომ საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, ერთი სცენარით არის შედგენილი. ყველაფერი საოცარი სიზუსტით მეორდება და გათვლილია იმისათვის, რომ მოტეხონ, დაამუშაონ მარჯანიშვილი და ახმეტელი, როგორც გენიალური ინდივიდები, მათი საშუალებით კი თეატრები. გლობალურია კულტურის „მოთელვის" პროცესი. ორიენტირი სწორედ ნიჭით გამორჩეულ, დაუმორჩილებელ ადამიანებზეა. ბოლშევიკებს ხელს უშლით მარჯანიშვილისა და ახმეტელის დიდი შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

1932 წელს მყვირალა სათაურით დაიბეჭდა სტატია: „უმჯობესია უმსგავსობის დასრულება, ვიდრე დაუსრულებელი უმსგავსობანი".





ქვესათაურად აქვს „კ. მარჯანიშვილის თეატრი გადაიქცა „ოჯახის" და მოკინკლავე ჯგუფების სათარეშო ადგილად". სათაურშივე გასაგებია წერილის ტენდენცია. წერილში ვკითხულობთ: „თეატრალური ორგანიზაციის სრული მოშლილობა და წვრილბურჟუაზიული ტრადიციების გაბატონება თეატრში", „მარჯანიშვილს მასზე დაკისრებული მოვალეობა უკუღმა აქვს გაგებული", „როგორც ჩანს, დღემდე მისთვის საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ ის სათავეში უდგას საბჭოთა თეატრს და არა საკუთარი ნათესავების კოლექტივს. თეატრზე უნდა იხარჯებოდეს ათასობით არა კ. მარჯანიშვილის უნიჭო ნათესავების სავარჯიშოდ, არამედ საბჭოთა თეატრის შესაქმნელად", „განსაკუთრებით დაუშვებელია კ. მარჯანიშვილის დამოკიდებულება დრამატურგებისადმი", „გ. ბაზოვმა დაწერა პიესა ოქტომბრის 15 წლისთავისათვის, თითოეულ რეჟისორს ეს მოვლენა გაუხარდებოდა, მაგრამ სხვაგვარად აზროვნებს კ. მარჯანიშვილი"... სხვა სტატიაში ვკითხულობთ: „როგორი „ბაგაჟით" ეგებება პროლეტარულ საზოგადოებას მოწყვეტილი თეატრი მეორე გრანდიოზული ხუთწლედის პირველ წელს", „თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ „ოტელოს" ერთი თვის განმავლობაში მომზადებით დიდ განძს შესძენს საბჭოთა ხელოვნებას ოქტომბრის თხუთმეტ წლისთავზე". „გამოცხადებული რეპერტუარიდან ერთი ნათელია: ეს სავსებით მოწყვეტილია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, დღევანდელ სინამდვილეს".

მთელი ეს იდეოლოგიური შეტევა მთავრდება ასეთი დასკვნებით: „თეატრში დამდგარ სიმყრალეს ველარ უძლებს კულისები. საჭიროა ფანჯრების გაღება, შიგ სუფთა ჰაერის შეშვება, თეატრი ინგრევა მარჯანიშვილის ხელით", „საჭიროა მისი ხსნა, საჭიროა თეატრისა და საბჭოთა ასი ათასების გადარჩენა".

აი, ასე შემზადდა ნიადაგი კოტე მარჯანიშვილის წინააღმდეგ. აქაც, ისევე როგორც რუსთაველის თეატრში კონფლიქტში ჩაითრიეს მსახიობები. მათ გარეშე არ ხდებოდა არაფერი. ოღონდ იყო ერთი დიდი განსხვავება — ბერიას კონფლიქტი ახმეტელთან. სწორედ ამან გადაწყვიტა ახმეტელის ბედი.

კოტე მარჯანიშვილი გარდაიცვალა 1933 წელს. სიკვდილით დაასწრო რეპრესირებას.

1936 წელს მიღებული იქნა „სტალინური კონსტიტუცია". პირდაპირ იყო ჩაწერილი ადამიანის უფლებებზე, ჰუმანიზმზე, ეროვნულ

ინტერესებზე და ყველა სხვა სიკეთეზე, რაც ცივილიზებულ ქვეყანას მოეთხოვება, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სწორედ ამ წლიდან დაიწყო სამზადისი მასობრივი რეპრესიებისათვის. ერთ-ერთი პირველნი ახმეტელი და მისი თანამოაზარე მსახიობები დააპატიმრეს.

არნახული ძალით ამუშავდა უზარმაზარი იდეოლოგიური მანქანა. დაიწყო თავაწყვეტილი კომპანია „სტალინური კონსტიტუციისა" და უზენაესი საბჭოს არჩევნების სადიდებლად, წერდნენ, რომ ეს იყო „ნამდვილი დემოკრატიზმის დრო".

ჩანს არც ცინიზმს აქვს საზღვარი.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში მომხდარ კონფლიქტებს ოსტატურად იყენებდა ბერია. იგი ერთმანეთს უპირისპირებდა არა მხოლოდ მსახიობებს, არამედ თეატრებსაც. მარჯანიშვილის თეატრში იქამდე მივიდა საქმე, რომ თეატრის დახურვაზეც კი იყო ლაპარაკი, აკი მსახიობთა ერთმა ჯგუფმა დასვა კიდეც საკითხი ზემდგომ ორგანოებში. ახმეტელთან ამ დროს თითქოს უფრო მშვიდი სიტუაცია სუფევდა, მაგრამ ეს გარეგნულად. ლ. ბერია გულმოდგინედ მუშაობდა მის წინააღმდეგ. მან 1931 წლის 9 ივლისს, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს: ტ. მამულიასა და გ. დევდარიანს გაუგზავნა წერილი, სადაც თავისებურად არის გაანალიზებული რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მდგომარეობა. აღნიშნულია მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, არის იმის ვარაუდიც, რომ თუ ასე გაგრძელდა საქმე, მეორე თეატრი დაიხურებაო.

ა. ახმეტელი მოსკოვიდან ს. შანშიაშვილისადმი გაგზავნილ წერილში გულისტკივილით წერდა: „ჩემო სანდრო! მე ვერ ვგრძნობ ჯერ კიდევ გამარჯვებას. მეტად სასტიკნი იყვნენ საქართველოში ჩემდამი და ღრმად ჩაუკლავთ ჩემში რისამე იმედი... მე ძალიან მწყინს, დამიჯერე, გულწრფელად ვამბობ, არა მარტო მე, მთელ დასს ის ამბავი, რომ ქუთაისის დასი იშლება. არ უნდა დაიშალოს და მარჯანიშვილს აუცილებლად უნდა მიეცეს საშუალება, რომ იმუშაოს".

ლ. ბერიამ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსადმი გაგზავნილ აღნიშნულ წერილში ასე შეაფასა ორივე თეატრის პოლიტიკური სახე: „ორივე ქართული სახელმწიფო თეატრი წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ხელოვნებას და საჭიროა მათი ფორმალური ოსტატობა გადართული იქნას ნამდვილ პროლეტარულ რეპერტუარშიო".





ასე რომ, სუკი გულმოდგინედ აგროვებდა მასალებს ორივე თეატრზე. ამ დროისათვის კი იმდენი „მასალა" ჰქონდა ბერიას, რომ შეეძლო დაეჭირა მარჯანიშვილიც, ახმეტელიც და საერთოდ, ნებისმიერი მსახიობი. ლ. ბერიას მიერ შედგენილ წერილში არის ზოგი დასაფიქრებელი მომენტი, მას აქვს მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის, ამიტომ მოგვყავს თითქმის მთლიანი სახით, მით უფრო საინტერესოა, რომ მას წერს ლ. ბერია, როცა იგი სუკს (თანამედროვე გაგებით) ხელმძღვანელობდა. იმდენად გაძლიერდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის დაპირისპირება, ისე ხელს ითბობდა ბერია ამ ბრძოლით და ისე კარგად ერთობოდა საზოგადოება, რომ ძალიან ცოტა ვინმე თუ ცდილობდა კონფლიქტის ჩაქრობას. პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. „ახმეტელის საქმეში" არის ერთ-ერთი ანონიმური წერილი, რომელსაც ვითომ მარჯანიშვილი უგზავნის ახმეტელს. წერილი რუსულადაა დაწერილი, ასოები — დამარცვლით. კ. მარჯანიშვილი სწერს: რატომ არ მოიშორე აქამდე შენი ბ. . . ცოლი თ. წულუკიძე (მოხსენიებულია უცენზუროდ), საზღვარგარეთ ისევ „ანზორი" გინდა წაიღო, რასა ჰგავსო ეს სპექტაკლიო და სხვა ამგვარი ბოდვა. თვით ფაქტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ჩანს, თუ როგორ ცდილობდა მავანი და მავანი დიდ ხელოვანთა დაპირისპირების გაღრმავებას. პირდაპირ აზარტული თამაშია, მერედა, როგორ გვიყვარს ჩვენ, ქართველებს, ასეთი თამაში!..

დავუბრუნდეთ ლ. ბერიას წერილს:

სკ (ბ) სამდივნო, ტ. მამულიას,

გ. დევდარიანს.

„როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა თეატრში 1928 წლიდან გაყოფილია ორი კოლექტივი — პირველი და მეორე თეატრის სახელით რომ მუშაობენ.

მათი გათიშვის მთავარი მიზეზი მდგომარეობს შემდეგში:

ქართულ თეატრში, რომელსაც მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს, ახმეტელის მეთაურობით ჩამოყალიბდა ნაციონალისტურად განწყობილი ჯგუფი. თავის მუშაობაში ის გამოხატავდა ქართული წვრილბურჟუაზიული და შოვინისტური ინტელიგენციის გემოვნებას და მოთხოვნილებებს. ეს იმ დროს, როცა მარჯანიშვილის კადრები მუშაობდნენ ინტერნაციონალისტური შინაარსის კლასიკურ (შემდგომ თანამედროვე) რეპერტუარზე.

ეს განხეთქილება შემდგომ გადაიზარდა მძაფრ ანტაგონიზმში, რომელსაც აძლიერებდა პრესა, კრიტიკა და ხელოვნების დარგში ზოგიერთი ხელმძღვანელი. მათ ამ თეატრების გარშემო შექმნეს არაჯანსაღი ატმოსფერო, რეცენზენტები როცა ერთს აქებდნენ, მეორეზე ახდენდნენ თავდასხმებს.

ქართულ ინტელიგენციაში ჩამოყალიბდა თავისებური წვრილბურჟუაზიული „ორიენტაცია", გავრცელებული პარტიულ მასაშიც კი.

რამდენადაც ორივე თეატრი წარმოადგენს ინტელიგენციის თანამგზავრს და ნაკლები კავშირი აქვს მუშა მაყურებელთან, ეს უკანასკნელი მასთან ბრძოლაში არ რეაგირებდა და არავითარ „ორიენტაციას" არ იჩენდა, თუმცა როგორც მარჯანიშვილის, ისე ახმეტელის მხრიდანაც იყო ცდები, მიეზიდათ მუშები ამ საქმეში... (ახმეტელის მოხსენება ორჯონიკიძის კლუბში 3/III-30 წ., მარჯანიშვილის მოხსენება პლეხანოვის კლუბში 9/I-30 წ. და სხვა).

1930 წელს ორივე თეატრს ჰქონდა გასტროლები მოსკოვსა და ხარკოვში. ორივეს ჰქონდა წარმატება, თუმცა — სხვადასხვაგვარი. რუსთაველის თეატრის გასტროლები ძირითადად მიზნად ისახავდა ქართული „ეგზოტიკის" ჩვენებას („ლამარა", „ანზორი"). მეორე ქართული თეატრის წარმატება კი რეჟისორული მიღწევებით იყო განპირობებული, კლასიკურ და რევოლუციურ რეპერტუარში („ურიელ აკოსტა", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"). გასტროლების შემდეგ უფრო გამძაფრდა ანტაგონიზმი. ამის პარალელურად გაძლიერდა „ორიენტაციაც" ორივე რეჟისორის მხრიდან — ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა სხვადასხვა პრესა და ცალკეული ავტორიტეტები, ისინი დისკრედიტაციას უწევდნენ ორთავეს, უფრო ენერგიულად მოქმედებდა ახმეტელი.

გავრცელდა და არ წყდება ჭორი დღევანდელ დღესაც კი მეორე ქართული თეატრის დახურვაზე. ყველაფრის ამის მიზეზი მდგომარეობს შემდგომში:

მარჯანიშვილი არ იყო შეყვანილი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

სავსებით იქნა მივიწყებული მარჯანიშვილისათვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების საკითხი. ყოველივე ამის მიზეზი და გაღიზიანების საბაბი იყო ახმეტელისა და მისი ჯგუფის მოქმედება.

ახმეტელის ნდობით აღჭურვილმა პირმა მაჩაბელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველომ, თითქოს, აუკრძალა მეორე ქართულ თეატრს მოსკოვში გასტროლები.





ახმეტელის ჯგუფი ავრცელებდა და ავრცელებს ჭორს რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე პერსპექტივებზე და იმაზე, რომ, თითქოს, „მოსალოდნელია ამიერკავკასიის ხელმძღვანელობის შეცვლა, რის შემდეგაც საზღვარგარეთ გასტროლები გარდაუვალიაო". თვითონ ახმეტელი ხაზს უსვამს თავის ახლობლობას ხელმძღვანელ მუშაკებთან, ეწევა მის სპეკულირებას. თეატრისადმი დამოკიდებულებას კი იყენებს მარჯანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველნაირად ცდილობს მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. კვანტალიანი და მსახიობი კოსტავა ჭორჭმანობენ და შესაძლებელია წავიდნენ.

ახალგაზრდების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია: ანთაძე გათავისუფლებულია მხატვრული ნაწილის მმართველის თანაშემწის თანამდებობიდან. საერთო კრებაზე არჩეული იქნა ჯგუფი, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს მსახიობის მიღების ან მოხსნის საკითხზე.

თეატრში ანტისაბჭოთა ჯგუფის მოქმედება ჯერ არ გამოვლენილა. ცალკეული პირებისაგან მოსალოდნელია მტრული თავდასხმები. მთავარი მიზეზი უკმაყოფილებისა მძიმე მატერიალური მდგომარეობაა, ხელფასის დაგვიანება და მრავალი სხვა (გომელაური, ზაქარიაძე).

ჯგუფში არიან ყოფილი სოციალ-ფედერალისტი ანთაძე და მსახიობი კოსტავა, რომელიც 1924 წელს იჯდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში აგვისტოს ავანტიურის დროს.

რუსთაველის თეატრის სეზონი გაიხსნა მხოლოდ 1931 წლის 24 აპრილს.

ობიექტური მიზეზები ასეთ დაგვიანებისა რა იყო: სახსრები იყო გაღებული, დასი იყო შევსებული და იმყოფებოდა სახელმწიფო ხარჯზე. გაუხსნელობის მიზეზი იყო თეატრის ხელმძღვანელის, ალ. ახმეტელის, უცნაური შეხედულებები. ის თეატრის გახსნის დაგვიანებას ხსნიდა ორი მოტივით: შენობის სახანძრო უშიშროების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით და თეატრის საზღვარგარეთ გასტროლებისათვის სამზადისით.

პირველი მიზეზი არარსებულია, რადგანაც ელექტროენერგიის უზრუნველყოფის საკითხი შეიძლებოდა მოგვარებულიყო ჯერ კიდევ ზაფხულში ან 1930 წლის შემოდგომაზე. გარდა ამისა, თვითონ ახმეტელმა თავის თავზე აიღო სახანძრო უშიშროების საკითხი და გახსნა სეზონი. რაც შეეხება საზღვარგარეთ გამგზავრებას, მართლაც წარმოადგენდა ნამდვილ მოტივს, მაგრამ ამით ახმეტელს სურდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა ჩაეშალა სეზონი თბილისში. ამით

თეატრმა სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენა: უმოქმედოდ ინახავდა მთელ შტატს, უხდიდა 20 000-ზე მეტ მანეთს ყოველთვიურად, რუსთაველის თეატრზე გამოსცა წიგნი გერმანულ ენაზე. ასეთ პოლიტიკას აგრძელებდა მაშინაც კი, როდესაც საკითხი გასტროლების შესახებ გადაწყვეტილი იქნა უარყოფითად საკავშირო ინსტანციების მიერ.

ამრიგად, ახმეტელი სჩადიოდა რა ყოველივე ამას, მიზნად ისახავდა, ფაქტის წინაშე დაეყენებინა ხელისუფლება, რათა აეძულებინა იგი დათანხმებულიყო თეატრის საზღვარგარეთ გაგზავნაზე.

მიუხედავად ამისა, თეატრის გასტროლები მაინც არ შეიძლებოდა შემდეგი მიზეზების გამო:

ჩვენს ადრინდელ მოხსენებაში აღვნიშნეთ თეატრში შექმნილი არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია-კორპორაცია „დურუჯის" შესახებ, რომელმაც თეატრის მუშაკებიდან თავის გარშემო შემოიკრიბა უფრო აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც კავშირში იყვნენ თეატრალურ ცხოვრებასთან.

ორგანიზაცია მკაცრად იყო კონსპირირებული და მიზნად ისახავდა მიეზიდა ისეთი პირები, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა წყობის მიმართ. ამ ორგანიზაციამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო თეატრის მთელი სადავეები, დაიწყო თეატრის პროფესიული და სოციალური ცხოვრების მართვა. იგი ყოველნაირად ცდილობდა გაეძნელებინა პარტიული კადრების აღზრდა და მისი გავლენა თეატრის მუშაობაზე.

მიღებული ზომების შედეგად ორგანიზაცია დაშლილი იქნა. შემდგომ ის კვლავ აღმოცენდა ახალი სახელწოდებით „ცეხ" და შეცვალა თავისი მუშაობის ფორმები, თუმცა აგრძელებდა „დურუჯის" ხაზს. ამ ჯგუფის წევრთა პოლიტიკური დახასიათების მიზნით მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

ახმეტელის მთავარი მრჩეველი, პიესების მთარგმნელი – ალექსანდრე ბოკერია, შეწუხებული თავისი მდგომარეობის გამო, ამბობს: „მე მომცეს მგლის ბილეთი და არსად სამსახურში არ მიღებენ. თუ არა ჩემი მეგობრები, რომლებიც ყოველთვის ნახულობენ ჩემთვის სამსახურს, მომიწევდა შიმშილი".

იგივე ბოკერია აცხადებს: „არაფერია, კიდევ მოვითმენ ცოტა ხანს, სამაგიეროდ, ამ ხელისუფლების დამხობის შემდეგ საკუთარი ხელებით ჩამოვახრჩობთ ყველას, ვინც მიგვიყვანა ამგვარ მდგომარეობამდე".





ბოკერია – სოციალისტ-ფედერალისტების არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, დაპატიმრებულ იქნა სახ. პოლიტსამმართველოს მიერ ორჯერ. მოეწყო თეატრში პიესების მთარგმნელად და ახმეტელის მრჩევლად. ბოკერია თეატრის გარშემო თავს უყრის უკიდურესად ანტისაბჭოთა ელემენტებს, გამოსულთ ანტისაბჭოთა პარტიებიდან. ბოკერიამ ინახულა გადასახლებიდან შვებულებით თეატრში ჩამოსული მიხეილ გამსაშვილი, რომელიც თავის ნაცნობებს შემდეგნაირად წარუდგინა: „ეს ჩვენი მეგობარია – სოციალისტ-ფედერალისტი გამსაშვილი, იგი გადასახლებულია არალეგალური საქმიანობისათვის. ძალიან კარგი და გაუტეხელი ბიჭია, თუ რამე მოხდა ისეთი, იგი თავს გვაჩვენებს".

მსახიობი სარჩიმელიძე – საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას რელიგიასთან დამოკიდებულებაში ახასიათებს ასე: „ჩვენი გაზეთები ცრუობენ ყველაზე უსინდისო საშუალებებით, როცა ამტკიცებენ, თითქოს, საბჭოთა კავშირში რელიგია არ იდევნება. არა მხოლოდ იდევნება იგი, არამედ ათასობით მორწმუნე საკუთარი მრწამსის გამო იგზავნება შორეულ, ცივ მხარეებში".

მსახიობი ხორავა – საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციასთან დამოკიდებულებაში აფასებს ასე: „ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოხდა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია და შეიქმნა კოლმეურნეობები, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დიდი უმრავლესობის წინააღმდეგობა, რომელიც გადაიზარდა აჯანყებაში. სტალინის მეთაურობით ცკ-ის მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებებმა, დაშვებულმა შეცდომებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა".

მსახიობ ვასაძის აზრით: „ხელისუფლება ვერ დაასრულებს ხუთწლიან გეგმას, რადგან ამ პერიოდში თვითონვე შეწყვეტს თავის არსებობას".

„არ იყო საჭირო საქართველოში 1924 წლის აჯანყება, იმ პერიოდში შედარებით მაინც იყო კარგი ცხოვრება. აჯანყება უნდა მოეწყოს ახლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოსახლეობა გაიმეტა სიმშილისათვის, სილატაკისათვის, მაგრამ ახლა არავის ძალუძს მსგავსი გამოხდომა, რადგან ქართველი ერის საუკეთესო შვილები დახვრეტილია ან გაგზავნილია შორეულ, უკაცრიელ მხარეებში".